INTERVIEW
18+
4
ოქტომბერი/
ნოემბერი
2014
რა სურთ ჰაცებს
ქართველი
წყალბურთელები
60
TFW looks
122
FASHION რჩევა
სალომე
ღვინიაშვილი
ნანკა
ჰალატოზიშვილი
ეკო
ფანგანი
შორენა ბეგაშვილი
SEX
DREAMS
and BOOKS
ფასი 5 ლარი
ISSN 2346-7703

FREYWILLE.COM | ვაკე
თბილისი რუსთაველის გამზ. 26 • TBILISI 26 Rustaveli Avenue +995 32 299 0957
ჯეუმარიტი ხელოვნება

ულოდ მონეს
მიმართ მიძღვნილი კოლექცია
ორანჟერი

Make your every day
a **holiday**

ego | events
EVENT MANAGEMENT AGENCY
Contact us: 2 946 446 | info@ego.com.ge | anuki@flit.ge

CONTENTS



SPECIAL PROJECT

48 რა სურთ პაცებს
ქართველი წყალბურთელები

TALKING ABOUT

88 ინტერვიუ წვერთან
ლუკა ელოშვილი

ფსიქოლოგია

90 როლები, რომლებსაც ვთამაშობთ

EVENTS

106 თბილისში TOMMY HILFIGER-ის მაღაზია გაიხსნა

108 პახეთში ლოპოტას თასის 2014 ფინალი დასრულდა

სამიზნე

112

გვ. 74
გვ. 32
გვ. 18
19
გვ. 112

16

ᲒᲒ. 64

მოდა

10 წითელი – ახალი შავი
12 შემოდგომის ფერები
13 ნაქარგები
14 ნაქსოვები
15 სპორტული მოდა
16 MUST HAVE
18 შეიგრძენით განსაკუთრებული შარმი
19 TBILISI FASHION WEEK

STYLE

24 „რაც ჩემი თავი მახსოვს სულ მიზიდავდა მოდა“
ინტერვიუ სალომე ღვინიაშვილთან

სილამაზე & ჯანმრთელობა

40 „დამღლელი დღის შემდეგ, მიყვარს სხვადასხვა მარილის აბაზანების მიღება“
ინტერვიუ ეკო ფანგანთან

ცხოვრების სტილი

68 „ჰოლივუდი დიდებასთან ასოცირდება, მაგრამ მე პანი მირჩევნია“
ინტერვიუ ნანკა კალატოზიშვილთან



ᲒᲒ. 94

ᲒᲒ. 13

მთავარი გმირი

56 შორენა ბეგაშვილი

„არა, მე არ ვარ სკანდალური, ჟურნალისტები მიქმნიან მსგავსს იმიჯს და მიწყობენ ხელს“

ყდაზე:
შორენა ბეგაშვილი

ფოტოგრაფი:
SASHÀ PRISHVIN

ხელთათმანები

CHANEL
Lambskin gloves

სპორტული ჩანთა

HERMÈS
Printed graphite "Brazil"

კარბონის ველოსიპედი

HERMÈS
Le Flaneur d'Hermès

გამომცემელი/PUBLISHER
თანადამფუძნებელი/CO-FOUNDER
ანუკი ნაცვლიშვილი/Anuki Natsvlishvili

არტ დირექტორი/ART DIRECTOR
თანადამფუძნებელი/CO-FOUNDER
სერგო კულიჯანოვი/Sergo Kulijanov

მთავარი რედაქტორი/EDITOR IN CHIEF
ნიკა გომართელი/Nika Gomarteli

კრეატიული დირექტორი/CREATIVE DIRECTOR
საშა პრიშვინი/Sasha Prishvin

მოდის რედაქტორი/FASHION EDITOR
ანანო დოლაბერიძე/Anano Dolaberidze

ლიტერატურული რედაქტორი/LITERARY EDITOR
ნატუკა ნაცვლიშვილი/Natuka Natsvlishvili

ჟურნალისტები/JOURNALISTS
ნინო ლომიძე/Nino Lomidze
მარიამ პატატიშვილი/Mariam Patatishvili
სოფიო დვალიშვილი/Sophio Dvalishvili
ნატა ბეშიძე/Nata Beshidze

დიზაინი/DESIGN
დავით სამსონიძე/David Samsonidze
სერგო ტიტენკოვი/Sergo Titenkov

ფოტოგრაფი/PHOTOGRAPHER
ზურა ქართველიშვილი/Zura Kartvelishvili

კორექტორი/CORRECTOR
ნატუკა ნაცვლიშვილი/Natuka Natsvlishvili

გაყიდვების დეპარტამენტი/SALES DEPARTMENT
ელენე ბუჩუკური/Elene Buchukuri
ნინი მაზმიშვილი/Nini Mazmishvili
ლიკა ნადირაშვილი/Lika Nadirashvili
სანდრო ჯავახიშვილი/Sandro Javakhishvili
გიორგი აღაშვილი/Giorgi Agashvili

აღმასრულებელი დირექტორი/CHIEF EXECUTIVE OFFICER – ქეთი ნაცვლიშვილი/Kathy Natsvlishvili
ოპერაციების აღმასრულებელი დირექტორი/CHIEF OPERATIONS OFFICER – ნინიკო ელიზბარაშვილი/Niniko Elizbarashvili
პროექტების მენეჯერი/PROJECTS MANAGER – ეკო ცეცხლაძე/Eko Tsetskhladze
საგზგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი/PR MANAGER – სოფიო დვალიშვილი/Sophio Dvalishvili
კლიენტსერვისის უფროსი/HEAD OF CLIENT SERVICE – გვანცა სალთხუციშვილი/Gvantsa Saltkhutsishvili
დისტრიბუტორი/DISTRIBUTOR – დავით კუპრაძე/David Kupradze
ბუღალტერი/ACCOUNTANT – მარინა ალექსაური/Marina Aleksauri

Flit Media publishing house

რედაქცია: საქართველო, თბილისი, 0102, ე. ახვლედიანის ხევი, 3; ტელ.: +995 322 946446; მარკეტინგის სამსახური: interview@flit.ge
გამოცემის თარიღი: 12.11.2014; გამომცემლობა „ფლიტ მედია“, საქართველო, თბილისი, 0102, ე. ახვლედიანის ხევი, 3; ელ.ფოსტა: flitmail@flit.ge
პერიოდული გამოცემა: გამოდის 2014 წლის აპრილის თვიდან.

EDITORIAL OFFICE: 3, E. Akhvlediani ravine, 0102, Tbilisi, Georgia; TEL.: +995 322 946446; FAX: +995 322 922898; MARKETING DEPARTMENT: interview@flit.ge

გამოცემაში გამოყენებულია ბესარიონ გუგუშვილის BPG DejaVu Sans Light, DejaVu fonts team-ს DejaVu Sans და FLIT Group-ს Flt interview 1 ფონტები

დაბეჭდილია სტამბა „კოლორში“

© შპს „ფლიტ მედია“, 2014
© Flit Media LLC, 2014

Microsoft

ბოლეთიანი

Share life uncropped

Nokia Lumia 730 with 5MP Full HD front camera and wide angle lens

Facebook: NokiaGeorgia

INTERVIEW-ს რესპონდენტების უმრავლესობისგან განსხვავებით, მე არ მიყვარს შემოდგომა, მაგრამ ჩვენმა კოლუმნისტმა ამ სეზონის იმდენი დადებითი მხარე ჩამოთვალა (გვ.74) რომ რთულია არ მოიხიბლო... ცხელი გლინტვეინის ხათრით მაინც. ზოგადად, უნდა ვაღიარო, რომ შთაგობული ვარ ამ ნომრით და კმაყოფილი. რა თქმა უნდა, მთავარია, თქვენ დარჩეთ კმაყოფილები. საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა, ლამაზი, თავდაჯერებული და საინტერესო რესპონდენტი გვყავს. მათ საკუთარი საქმის სიყვარული აერთიანებს. ეს იგრძნობოდა თითოეულ მათგანთან შეხვედრისას. „თეატრი არის ჰაერი, სუნთქვა, პულსი, არტერია," – გვეუბნება ნანკა კალატოზიშვილი.

სულ ცოტა ხნის წინ თბილისის მოდის კვირეული ჩატარდა. მოგეხსენებათ ეს მნიშვნელოვანი ამბავია პრიალა ჟურნალებისთვის. გთავაზობთ ამ მოვლენის მიმოხილვას და ასევე 122 fashion რჩევას ჩვენი მოდის რედაქტორისგან. მათ კი, ვინც დაიღალა მოდით, შეუძლიათ თანამედროვე ტენდენციას – ნორმკორს გაეცნონ (გვ.32). არ შემიძლია, არ ვახსენო შეხვედრა Buro 24/7-ის რედაქციის დორექტორ ევგენი ტიხონოვიჩთან, რომელთანაც ძალიან საინტერესო საუბარი შედგა. მან მოუთხრო ჩვენს მკითხველს როგორია მსოფლიო დონის გამოცემებთან თანამშრომლობა, თავისი დადებითი და უარყობითო მხარეებით.

აღსანიშნავია ამ ნომრის სპეციალური პროექტი – „რა სურთ კაცებს", რომელიც ქალბატონებს ეძღვნებათ. როგორი ქალები მოსწონთ დღევანდელ სპორტსმენებს, რა თვისებებს აფასებენ ქალბატონებში, სჭირდებათ თუ არა მათ ძლიერი ქალები და კიდევ ბევრ სხვა კითხვაზე საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების ექვსმა წევრმა გაგვცა პასუხი.

დაბოლოს, გარდა საკუთარი საქმის სიყვარულისა, ის, რაც აერთიანებს ჩვენს რესპონდენტებს არის ოცნება. არასოდეს შეწყვიტოთ ოცნება, ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით, იმუშავეთ საკუთარ თავზე და აუცილებლად მიაღწევთ სასურველ შედეგს. მალე ახალი წელია, ახალი გეგმები და ახალი ოცნები.

იკითხეთ INTERVIEW!

ნიპა გომართელი

Eco Mobil

დაზოგე თანხა და გაუფრთხილდი გარემოს

სიახლე!!!
ევრო 5 სტანდარტის აპარატურა ინტეგრირებული ვარიატორით!!!

TOMASETTO-ს ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში ეკომობილ ჯორჯია გთავაზობთ:

ბუნებრივი აირის მოხმარებით საწვავზე დაზოგავთ მინიმუმ 60%

III თაობის აპარატურა 400 ლარიდან;
IV თაობის აპარატურა 4 ცილინდრზე 700 ლარიდან;
IV თაობის აპარატურა 6 ცილინდრზე 850 ლარიდან;
IV თაობის აპარატურა 8 ცილინდრზე 950 ლარიდან;

*ფასები მოცემულია მონტაჟის ჩათვლით ბალონის ღირებულების გარეშე

განვადება
გარანტია
სერვისი

TOMASETTO ACHILLE
componenta for LPG & CNG systems

BRC AG EUROPE GAS

მის: ე. ბეჟანიშვილის 8ა
266 21 12
ecomobilgeorgia@gmail.com
ecomobilgeorgia
ecomobil.ge

Valentino

Stella McCartney

Giambattista Valli

ბლუზა
Thakoon

ქვედაბოლო
Miu Miu

ჩანთა
Valentino

წითელი – ახალი შავი

ფეხსაცმელი
Valentino

2014/2015 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციებს თუ გადავავლებთ თვალს, მივხვდებით, რომ *წითელი ნამდვილად ახალი შავია*. ამ ფერის სამოსი ქალს ყოველთვის უფრო სექსუალურს და დახვეწილს ხდის. ეცადეთ, წითელთან ერთად კლასიკურ ფერებზე გააკეთოთ აქცენტი. ამით თქვენი ჩაცმულობა ნაკლებად რისკიანი და მეტად დამაჯერებელი იქნება.

ქურთუკი
Valentino

სათვალე
Prada

კაბა
Marni

მანტო
Lanvin

ჩანთა
Jil Sander

ქვედაბილო
Peter Pilotto

ფეხსაცმელი
Giuseppe Zanotti

მაისური
Givenchy

ჩანთა
Fendi

კაბა
Matthew Williamson

ჩანთა
Givenchy

კაბა
Valentino

კომბინიზონი
Roland Mouret

შორტი
Miu Miu

სვიტერი
Gucci

Prada

Dolce & Gabbana

Kenzo

Tom Ford

Saint Laurent

Alexander Wang

ქვედაბოლო
Simone Rocha

ფეხსაცმელი
Pierre Hardy

პალტო **Karl Lagerfeld**



პალტო **Carven**

შემოდგომის ფერები

კაბა **Suno**

ქურთუკი **Acne Studios**

პიჯაკი **Christophe Lemaire**

ქვედაბოლო **Topshop Unique**

ქურთუკი **Etro**

შარვალი **Christophe Lemaire**

ქვედაბოლო **Carven**

ქვედაბოლო **Altuzarra for Target**

შარვალი **Topshop Unique**

ქვედაბოლო **Elizabeth and James**



შემოდგომის დადგომას დიზაინერები კონკრეტული ფერების გამოყენებით გამოხატავენ. 2014/2015 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციებში ჭარბობს ამ სეზონისთვის დამახასიათებელი ტონალობები. ეცადეთ, აქცენტი *შინდისფერზე, ნაცრისფერზე, მდოგვისფერსა და ნარინჯისფერზე* გააკეთოთ.

All Autumn/Winter 2014: **1**. ***Dolce & Gabbana***; **2**. ***Balenciaga***; **3**. ***Carolina Herrera***; **4**. ***Stella McCartney***; **5**. ***Carven;*** **6**. ***3.1 Phillip Lim***; **7**. ***Givenchy***; **8**. ***Burberry***; **9**. ***Salvatore Ferragamo.***

მაისური
J. Crew

კაბა
Mary Katrantzou

კაბა
Oscar de la Renta

კაბა
Valentino

ყელსაბამი
Shourouk

ჩანთა
Kotur

ფეხსაცმელი
Nicholas Kirkwood

ნაქარგები

2014/2015 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციებში საკმაოდ ბევრმა დიზაინერმა გამოიყენა ***ქსოვილები ნაქარგით***. ეს დეტალი სამოსს უფრო დახვეწილს და საინტერესოს ხდის.

All Autumn/Winter 2014: **1**. ***Stella McCartney***; **2**. ***Chanel***; **3**. ***Givenchy***; **4**. ***Dolce & gabbana***; **5**. ***Etro***; **6**. ***Valentino***; **7**. ***Christopher Kane***; **8**. ***Emilio Pucci.***

ყელსაბამი
Etro

ფეხსაცმელი
Dolce & gabbana

ჩანთა
Nina Ricci

ქამარი
Isabel Maran

სვიტერი
Fendi

სვიტერი
Sibling

სვიტერი
Band of Outsiders

სვიტერი
Jil Sander

მოსაცმელი
Kenzo

მოსაცმელი
Proenza Schouler

ნაქსოვი ვეება

ნაქსოვი ტანსაცმელი ისევ აქტუალურია. დიზაინერები **2014/2015** წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციებში, ძირითადად, დიდი ზომის ნაქსოვ სამოსს გვთავაზობენ, როგორც მოკლეს ისე გრძელს, კაბის სტილში.

All Autumn/Winter 2014: **1**. ***Acne***; **2**. ***Balenciaga***; **3**. ***Miu Miu***; **4**. ***Marc Jacobs***; **5**. ***Chanel;*** **6**. ***Stella McCartney***; **7**. ***Phillip Lim***; **8**. ***Celine.***

სვიტერი
Jonathan Saunders

სვიტერი
Givenchy

ქურთუკი
Givenchy

სვიტერი
Alexander Wang

ზურგჩანთა
Alexander Wang

სპორტული მოდა

სვიტერი
Stella McCartney

ქურთუკი
Fendi

კაბა
Alexander Wang

ქურთუკი
Moschino

სპორტული ელემენტები ისევ აქტუალურია **2014/2015** წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციებში. დიზაინერები ყველანაირ სტილს უსადაგებენ ასეთ დეტალებს, როგორც სამოსზე, ისე ფეხსაცმელზე.

სვიტერი
Jonathan Saunders

სვიტერი
Jonathan Saunders

სვიტერი
Fendi

ზურგჩანთა
McQ by Alexander McQueen

კაბა
Victoria Beckham

კაბა
Stella McCartney

კედი
Givenchy

1

2

Must have

3

4

1. ტუჩსაცხი ***MAC Lingering Kiss***; **2.** სათვალე ***Fendi***; **3**. ქუდი ***Borsalino***; **4**. ჩანთა ***Pierre Hardy***; **5**. ჩანთა ***Miu Miu***; **6**. ჩანთა ***Proenza Schouler***; **7**. სუნამო ***Fendi Furiosa***; **8**. ყელსაბამი ***Tory Burch***; **9**. ბეჭედი ***Chloé***; **10**. პალტო ***Paul & Joe***; **11**. ლაბადა ***H&M***; **12**. სვიტერი ***Jonathan Saunders***; **13**. ლაბადა ***Zara***; **14**. ქვედაბოლო ***Giambattista Valli***; **15**. ქურთუკი ***Saint Laurent***; **16**. სპორტული ფეხსაცმელი ***Christian Dior***.

5

6

7

8
10
11
12
9
13
14
Chanel
15
16

1

2

1. საყურეები
   LUNA PICCOLISSIMA
2. გულსაკიდი
   LUNA PICCOLA
   with SNAKE CHAIN
3. ბეჭედი
   NAUTILUS
4. ბეჭედი
   DAISY
5. კლატჩი
   MILANAISE

შეიგრძენით განსაკუთრებული შარმი

ოჯახთან და მეგობრებთან ერთად საახალწლო პერიოდის გატარება და მათთვის სასიამოვნო საჩუქრების გაკეთება, განსაკუთრებული მომენტია. FREYWILLE-ს ექსკლუზიური სამკაული საშუალებას გაძლევთ, უფრო მეტად აღაფრთოვანოთ თქვენი ახლობლები და დამდეგ დღესასწაულებს მეტი შარმი შემატოთ. იმისათვის, რომ ზამთრის ცივ დღეებში თავი უფრო თბილად და კომფორტულად იგრძნოთ, FREYWILLE-მ შექმნა ულამაზესი აქსესუარები, რომლებიც დაამშვენებს თქვენს საშობაო გარდერობს.

5

3

4

FREYWILLE HOLIDAY SEASON 2014

FREYWILLE
ფრაივილი

TBILISI FASHION WEEK

by Eko Tsetsckladze

TBILISI FASHION WEEK-ი ყოველწლიურად სხვადასხვა ადგილას იმართება. ამ სეზონის ლოკაციაც სპეციალურად შეირჩა, რადგან ერთ სივრცეში ყოფილიყო მასტერკლასები, ჩვენებები და შოუ რუმები, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ენახათ იმ დიზაინერების ნამუშევრები, რომლებიც ამ სეზონზე არ მონაწილეობდნენ ჩვენებებში. **TBILISI FASHION WEEK**-ს ესწრებოდნენ უცხოელი ჟურნალისტები, რომლებიც აქტიურად აშუქებდნენ ღონისძიებას. ლოკაციების ცვალებადობა კი მათ აცნობდა სხვადასხვა ადგილებს. შეირჩა ბაიერებიც, მათი მოვალეობაა, ხელი შეუწყონ დიზაინერების პოპულარიზაციას საქართველოს საზღვრებს გარეთ. თბილისის რიგით მე-10 მოდის კვირეულის მასპინძელი მეიდან ჯგუფის „დიზაინ ცენტრი იყო“. კვირეული **ANOUKI**-ს კოლექციის ჩვენებით გაიხსნა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. **TBILISI FASHION WEEK**-ის პირველ დღესვე წარმოადგინეს ღონისძიების გენერალური სპონსორის **NOKIA LUMIA**-ს ახალი მოდელი. კვირეული **AVTANDIL**-ის ჩენებით დაიხურა, რომელიც საკმაოდ ლამაზი და საინტერესო გამოვიდა.

ANUOKI-ს სამოსი იყო ქალური, ელეგანტური და რომანტიკული. კოსტიუმები ხელით იყო დამუშავებული. ზოგადად, მისი კოლექციებისათვის გეომეტრიული ფიგურები დამახასითებელი არ არის, მაგრამ ასეთმა დეტალებმა კოლექცია უფრო საინტერესო გახადა.

თიპა ფაცაცია ტელეწამყვანი

„მე ANOUKI-ს ქალი ძალიან მიყვარს. ყოველთვის ზედმიწევნით ქალურ შტრიხებს ტოვებს, ფერთა გამა ჰქონდა განსაკუთრებულად შერჩეული და ეს ყველაზე მიმზიდველია მის კოლექციებში.“

გოლა დამიანი დიზაინერი

„მინდოდა, ჩემი კოლექცია ერთდროულად მხიარული, სევდიანი და სასაცილოც ყოფილიყო, რამდენიმე მასალით ვიმუშავე და საკმაოდ მრავალფეროვანი გამოვიდა. ეს სამოსი კონკრეტული ტიპის ქალისთის არ არის, ის ყველას შეუძლია მოირგოს.“

ნინო დარასელი ჟურნალისტი

„DALOOD-ის ექსპერიმენტი, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იყო. არა მარტო ამ ბრენდისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის. სამი განსხვავებული სტილის დიზაინერის კოლაბორაცია იყო ძალიან საინტერესო. ისინი ჩემი მეგობრები არიან, მაგრამ დღეს მე სუბიექტურად არ ვუყურებ მათ და ვფიქრობ, რომ ამ ექსპერიმენტმა ნამდვილად გაამართლა.“

AKA NANITASHVILI

GEORGE KEBURIA from MATERIAL

გიორგი ქებურია
დიზაინერი

„კოლექცია აწყობილი იყო იაპონური თემით. ამ ქვეყნის კულტურა გადმოტანილი იყო ტანსაცმელში. მე ვაპროტესტებდი ქალების მიმართ ძალადობას. ვფიქრობ, კოლექციაში მქონდა მომავალი ზაფხულის ტენდენციები გათვალისწინებული და ვურჩევ ქალბატონებს, რომ იგივე გამოიყენონ. ძირითადად შავი ლურჯი და ბეჟი ფერები.“

LOOD IKA BOBOKHIDZE

AVTANDIL-ის კოლექციაში იგრძნობოდა ქალის მრავალმხრივი ხასიათი, ნაჩვენები იყო ქალი სხვადასხვანაირი ბუნებით, ქალი როგორც ზოგადად ქალი, ანგელოზი და დემონი. როგორც დიზაინერმა განაცხადა, ეს მისი მხატვრობა იყო და არა კოლექცია.

თამუნა ინგოროყვა ყოველთვის ძალიან კარგად გრძნობს ფერსა და სილუეტს მის ნამუშევრებში ზედმეტი არაფერია. ეს კოლექცია დაახლოებით ექვსი თვე იქმნებოდა, გლამურული, დამოუკიდებელი და ნაზი ქალბატონებისთვის, რომლებიც ცვალებადი ხასიათით გამოირჩევიან და შეუძლიათ სამოსი განწყობას შეუხამონ. გამოყენებული იყო ძვირფასი ქსოვილები: აბრეშუმი და ტაფტაზე ნაქარგები. კოლექცია თებერვლიდან გაიყიდება.

ანანო დოლაბერიძე მოდის რედაქტორი

„მოდის კვირეულით ძალიან კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ ბევრი ნიჭიერი დიზაინერი გვყავს და რაც მთავარია, თითოეულ მათგანს განსხვავებული სტილი და ხედვა აქვს. ისინი აქცენტს აკეთებენ კრეატიულობაზე, კომერციასა და ტენდენციაზე. გამოვარჩევ თამუნა ინგოროყვას კოლექციას, რომელიც ყოველთვის დახვეწილი, ზომიერად სექსუალური და ელეგანტურია. ასევე მინდა გამოვყო კოლექცია Materiel by George Keburia. მხიბლავს გიორგი ქებურიას რისკიანობა და თავისუფლება, რაც ყოველთვის გამოიხატება მის კოლექციებში.“

SALOME GVINIASHVILI

სალომე ღვინიაშვილი

მისაღები ოთახისკენ თავაზიანი ქალბატონი გვაცილებს. მე და ფოტოგრაფი დროს ტყუილად არ ვკარგავთ და გადაღების ლოკაციებს ვარჩევთ. რესპონდენტი რამდენიმე წუთში გვიერთდება და მიუხედავად იმისა, რომ სტილსა და მოდაზე არაერთხელ უსაუბრია, დაუზარებლად იწყებს უკვე ჩვეულ კითხვებზე საინტერესო და სასარგებლო პასუხების გაცემას. ამ თემაზე კი მას ნამდვილად ბევრი აქვს სათქმელი. INTERVIEW-ს სტუმარია მოდელი, სამი შვილის დედა, ძალიან ლამაზი და დახვეწილი ქალბატონი – სალომე ღვინიაშვილი.

INTERVIEW. საშემოდგომო სტილზე და გარდერობზე საუბრით დავიწყოთ, სალომე...
SALOME GVINIASHVILI. შემოდგომა ძალიან მიყვარს. შეიძლება ითქვას, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი სეზონია, მით უმეტეს, თუ თბილი ამინდებია. ყველაფერი მომწონს, რაც ამ სეზონზე გვაცვია – პიჯაკები, თხელი პალტოები და სვიტრები. თავს კომფორტულად ვგრძნობ საშემოდგომო სამოსში.

I. თქვენი აზრით, რა ქმნის ადამიანის სტილს?
S. G. ხასიათი. სწორედ ხასიათი განაპირობებს თითოეული ჩვენგანის სტილს. რა თქმა უნდა, სტილი შესაძლოა, დროთა განმავლობაში იპოვო, დახვეწო, შეიცვალო, თუმცა შინაგანი სამყარო, განწყობა, ინტერესები ქმნის მას ნებისმიერ მოცემულობაში. ცხადია, არსებობენ სპეციალისტებიც – სტილისტები, რომლებიც საკუთარი სტილის ჩამოყალიბებაში დაგეხმარებიან, სწორ მიმართულებას გაძლევენ.

I. ვინ არის თქვენი style icon?
S. G. დაკონკრეტება გამიჭირდება. დღეს ძალიან ბევრი გემოვნებიანი და დახვეწილი ქალბატონია ჩვენ ირგვლივ. ბავშვობის პერიოდიდან ჯეინ ბირკინს გამოვარჩევდი, ძალიან მომწონდა მისი სტილი და, ზოგადად, ტიპაჟი. ასევე ძალიან მომწონს კეიტ მოსი.

I. რა ეხმარება ადამიანს ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბებაში?
S. G. არ არის საკმარისი კარგად ერკვეოდე მოდის ტენდენციებში და ბრმად მისდიო მათ. ყველა ქალბატონს უნდა ჰქონდეს რაიმე თავისი, პიროვნული მახასითებელი, ერთგვარი ხელწერა, ის, რაც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი, რათა არ დაემსგავსოს რიგითი მაღაზიის ვიტრინის მანეკენს.

I. რა ტიპის სამოსში გრძნობთ თავს ყველაზე კომფორტულად?
S. G. ჯინსი, თეთრი მაისური და კედები.

I. ქუსლები?
S. G. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ძალიან მიყვარს და ჭარბობს კიდევაც ჩემს გარდერობში; თუმცა ყოველდღიურად ქუსლიანი ფეხსაცმლით არ დავდივარ. თბილისი არ არის ისეთი ქალაქი, რომ ქუსლებით ვიარო საღამოს, რესტორანში ვახშმობისას. >

იყავით ბუნებრივები და ხშირად

ზაილიმეტ, მშვენიერია

რადგან ცხოვრება

შანელი არის ჩემთვის კლასიკის და სტილის მწვერვალი

I. სალომე, ბევრ ქვეყანაში გიცხოვრიათ, შეგიძლიათ შეადაროთ, ქართველი და ევროპელი ქალბატონები?

S. G. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი ქალბატონი არის ძალიან გემოვნებიანი. ყოველთვის ხმამაღლა ვამბობ ამას და ალბათ ბევრიც დამეთანხმება. გემოვნებაც გვაქვს და ამბიციაც, გამოვიყურებოდეთ ლამაზად და მოდურად. რომ გადავხედოთ მოდის კვირეულის დროს გადღებულ ფოტოებს, ქუჩის სტილს, ნამდვილად შეიმჩნევა, რომ ქართველი ქალი გემოვნებიანია. ასევე გამოვარჩევდი პარიზელ ქალბატონებს, რომლებსაც ნამდვილად აქვთ თავისი ინდივიდუალური სტილი, იგივე შემიძლია ვთქვა იტალიელებზეც.

I. რომელია თქვენი საყვარელი ფერები?

S. G. ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ფერია შავი. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე ფერი არ მიყვარს ან ვერ ვიხდენ. ჩემს გარდერობში ყველა ფერის სამოსია. მიყვარს ლურჯი, თეთრი, წითელი, ასევე პასტელის ფერები.

I. აქსესუარები...

S. G. ჩემი სისუსტეა ჩანთა, ასევე უპირატესობას ვანიჭებ კარგ საათს. აქსესუარები გარდერობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია და ქალი, რომელსაც სურს გამოიყურებოდეს მოდურად, გემოვნებიანად და დახვეწილად, დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს აქსესუარებს, სათვალეებს, ყელსამაბებს.

I. რა არის კიდევ თქვენი სისუსტე?

S. G. ისევ და ისევ ჩანთა და აუცილებლად – ფეხსაცმელი, ისევე, როგორც ალბათ ნებისმიერი ქალისთვის.

I. რა არის ის საჩუქარი, გარდერობიდან, რომელსაც ყოველთვის სიამოვნებით იღებთ?

S. G. გავმეორდები, კარგი ჩანთა – შანელის „კლასიკი" ან ერმესის „კელი".

I. ტრენდი, რომელმაც გაუძლო წლებს?

S. G. შანელის „კლასიკი", რომელიც ისევ აქტუალირი და მოდურია და არაერთ ათეულ წელს გაუძლო, დარწმუნებული ვარ, კიდევ მრავალი წელი არ დაკარგავს აქტუალურობას. თამამად შემიძლია გადავიხადო მასში დიდი თანხა, რადგან ვიცი, რომ ის ჩემს შვილებს დარჩებათ.

I. მიმართავთ თუ არა ექსპერიმეტებს ჩაცმულობასთან დაკავშირებით?

S. G. რაიმე განსაკუთრებულ, ექსტრაორდინალურ ექპერიმენტებს ვერ გავიხსენებ. არის ტენდენციები, რომელსაც მივყვებით, ვხედავთ სიახლეს, მოგვწონს და ჩვენდაუნებურად ვითავისებთ კიდეც, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, არ მიყვარს სტანდარტი, ბანალურობა. მაცვია ის, რაც მომწონს, რაშიც >

კომფორტულად ვგრძნობ თავს და არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნლეობა, რამდენად ტრენდია ჩემი გადაწყვეტილება.

I. არის ისეთი რამ გარდერობიდან, რასაც არასოდეს ჩაიცვამთ?
S. G. თეთრი ლეგინსები ან ლაკის კომბინიზონი. რთულია ასე დაკონკრეტება, თუმცა, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, შესაძლოა მომიწიოს იგივე ლაკის კომბინიზონის ჩაცმა ან რაიმე ისეთის, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ჩავიცვამდი.

I. თქვენი აზრით, გემოვნება თანდაყოლილია, თუ შესაძლებელია მისი ჩამოყალიბება?
S. G. შესაძლებელია, ადამიანმა შეიძინოს და ჩამოიყალიბოს სტილი და გემოვნება. ამას დიდი დრო და ნიჭი სჭირდება. დღეს ძალიან ბევრი საშუალება და ინფორმაციაა ამ ყველაფერთან დაკავშირებით, იგივე ჟურნალები, ინტერნეტი, ინსტაგრამი, უამრავი ბლოგერი, რომელიც ყველასთვის გასაგებ ენაზე წერს ტენდენციების შესახებ, ეს ყველაფერი ეხმარება ადამიანს თავისი სტილის ჩამოყალიბებაში, მაგრამ ნიჭი მაინც საჭიროა.

I. პირველი მოგონებები მოდასთან დაკავშირებით...
S. G. რაც თავი მახსოვს, სულ მიზიდავდა მოდა. კონკრეტულ პერიოდს ნამდვილად ვერ ვიხსენებ. ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც ვუყურებდი ჩვენებებს, ყოველთვის ვყიდულობდი სხვადასხვა ჟურნალს და დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს ამ სფეროს. დედაჩემი იხსენებს ხოლმე, რომ ძალიან პატარა ასაკიდან გამოვთქვამდი სურვილს, თავად შემერჩია ტანსაცმელი.

I. საყვარელი დიზაინერი თუ გყავთ?
S. G. ძალიან ბანალური ვიქნები, მაგრამ შანელი არის ჩემთვის კლასიკის და სტილის მწვერვალი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის სტილს. ასევე გამოვარჩევდი დიორს, პრადას, ჟივანშის... ბოლო პერიოდში არაჩვეულებრივია ბალმეინი. ერთის გამორჩევა გამიჭირდება, რადგან მოდა, როგორც ინდუსტრია, ძალიან გაძლიერებულია.

I. ნივთი თქვენი გარდერობიდან, რომელსაც ვერასოდეს შეელევით?
S. G. ჩემი ჩანთები. ტანსაცმელს უფრო ადვილად შეველევი.

I. ამბობენ, რომ ყველი ქალის გარდერობში უნდა იყოს ერთი შავი კლასიკური კაბა... რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?
S. G. რა თქმა უნდა, აუცილებლად! და არა ერთი. ხშირად ყოფილა, სადმე წასვლის წინ, ჩამიცვამს ქვედაბოლო ან რაიმე სხვა და მივმხვდარვარ, რომ ეს არ იყო ის, რაც მინდოდა. შემდეგ ჩამიცვამს შავი კლასიკური კაბა და თავი მიგვრძვია ძალიან კომფორტულად.

I. ადამიანი რომელმაც შეცვალა მოდის სამყარო?
S. G. კოკო შანელი.

I. შემოდგომის ხუთი მთავარი ნივთი..
S. G. შლაპა, პიჯაკი, ლამაზი ჟაკეტი, ჩექმა (შუზი) და ისევ და ისევ ჩანთა.

I. საქმიანობის შესახებ...
S. G. ამ ეტაპზე დაკავებული ვარ კაფეთი, რომელიც ცოტა ხნის წინ გავხსენი, სულ მალე მეორეს გახსნაც იგეგმება (საუბარია ფიტ კაფეზე). ასე ვცდილობ ჯანსაღი ცხოვრების წესის, ჯანსაღი კვების, სილამაზის პოპულარიზებას... მინდა საქართველოში მყარად დაინერგოს ეს ყველაფერი.

I. დაბოლოს სალომე, რას ურჩევდით ახალგაზრდა გოგონებს, რომლებისთვისაც თქვენ მაგალითი ხართ?
S. G. ძალიან დიდ სტიმულს მმატებს მათი ასეთი დამოკიდებულება. ერთმა თბილმა წინადადებამ ან მოწერილმა ესემესმა შეიძლება არაჩვეულებრივ ხასიათზე დამაყენოს. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ. ვურჩევდი, იყვნენ ლაღები, ბუნებრივები, ხშირად გაიღიმონ, რადგან ცხოვრება მშვენიერია.

ნიკა გომართელი

რაც ჩემი თავი **მახსოვს** სულ მიზიდავდა **მოდა**

მოდა მათთვის, ვინც დაიღალა მოდით

NORM CORE

ნორმკორი (ინგლ. Normcore) მოდის თანამედროვე ტენდენციაა – უნისექსი. მისი მიმდევრებისთვის დამახასიათებელია სურვილი, გამოიყურებოდნენ „ჩვეულებრივად“, „ისე, როგორც სხვები“, ანუ არ გამოირჩეოდნენ.

PHOTOGRAPHER: W Magazine September 2014 by Mert Alas & Marcus Piggott; Stylist: Edward Enninful
MODELS: Kate Moss, Daria Werbowy, Lara Stone, Amanda Murphy, Suvi Kuponen, Meghan Collison, Anna Ewers, Mariacarla Boscono, Raquel Zimmermann, Saskia De Brauw, Mica Arganaraz, Daan Van Der Deen, Filip Hrivnak, Steve Milatos.

DENIM

ეტიმოლოგია

კი ასეთია – სიტყვა ნორმკორი წარმოიშვა ორი სიტყვის შერწყმით, ესენია – Normal (ნორმალური, ჩვეულებრივი) და Core (ძირითადი, ბირთვი).

კედები, თეთრი წინდები, უბრალო ჯინსები, კაპიუშონიანი ზედები და ზურგჩანთა – ეს ნორმკორის მიმდევრების გარდერობია; ხოლო გამოიყურებოდე როგორც ტურისტი ან მეტროს მგზავრი – ახალი ტრენდი.

ნორმკორის ისტორია გასულ წელს, New York Magazine-ის ფურცლებზე დაიწყო. ჟურნალი წერდა ახალი სტილის შესახებ, რომელიც ნიუ იორკის ახალგაზრდა, დამოუკიდებელმა მცხოვრებლებმა შექმნეს. მათ უარი თქვეს მაღალ ქუსლებზე, ბრჭყვიალა ტანსაცმელზე და გადავიდნენ ბირკენსტოკებზე, დედების ძველ ჯინსებსა და დიდ მაისურებზე. ნორმკორი დაუპირისპირდა მოდას და მის სწრაფ ტემპს.

ამ სტილის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ იაფფასიანი ტანსაცმელი, ბრენდის იარლიყის გარეშე, არ ნიშნავს აუცილებლად ცუდს. ისინი ემხრობიან გონივრულ ფასებს, პირველ რიგში კი კომფორტს; აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნორმკორის მიმდევარი „დასცინის“ მათ, ვინც საათებს სარკის წინ, ტანსაცმლის შერჩევაში ატარებს, ბრმად მიჰყვება მოდის ტენდენციებს და ამით სურს, გახდეს გამორჩეული.

დიდი ქალაქების მაცხოვრებელი ახალგაზრდა, განათლებული ადამიანები, რომლებიც ინდივიდუალიზმის კულტის ეპოქაში გაიზარდნენ, მიხვდნენ, რომ გამორჩეულობისკენ, გამოყოფისკენ სწრაფვას მივყავართ მარტოობასთან და იზოლაციასთან. თუ ადრე ადამიანი იყო

1. GAP summer collection;
1. Prince William and Catherine Middleton;
2. Prince Felipe, Princess Letizia and their daugthers Princess Leonor and Princess Sofia;
3. Steve Jobs;
4. Simon Porte Jacquemus.

საზოგადოების ნაწილი და ცდილობდა, როგორმე არ „დაკარგულიყო“ მასაში, შეენარჩუნებინა ინდივიდუალიზმი, დღეს პირიქითაა - მას აღარ უნდა იყოს „თეთრი ყვავი“, არამედ სურს, იპოვოს თავისი წრე.

ცნობილმა მოდის სახლებმა მყისიერი რეაგირება მოახდინეს ახალ დროის კარნახზე. GAP-მა სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა: „ჩვენ ვაწარმოებთ ნორმკორ-პროდუქციას 1969 წლიდან“. ნორმკორი გაჩნდა ისეთი დიზაინერების კოლექციებში, როგორებიც არიან: Phoebe Philo (Céline), Tom Binns, Lanvin, Marni, Prada. „შანელმა“ მიიღო ახალგაზრდა ბრუკლინელების გამოწვევა და ჩვენება, არც მეტი არც ნაკლები, სუპერმარკეტში მოაწყო.

ჩვენებებში ნორმკორი გამოიყენეს Marc Jacobs-მა, Tommy Hilfiger-მა, Simon Porte Jacquemus-მა, ეს უკანასკნელი კი თავად არის ტრენდის მიმდევარი.

ნორმკორზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კორპორაციის, Apple-ის თანადამფუძნებელი, სტივ ჯობსი, ადამიანი, რომელმაც შავი სადა ყელიანი სვიტერით, გაცვეთილი ჯინსებითა და ბოტასებით მთელი მსოფლიო მოხიბლა.

„ეს არის ტანსაცმელი, რომელსაც მე ვატარებ და მე ეს მეყოფა მთელი დარჩენილი ცხოვრება“ – თქვა მან.

Chanel Autumn/Winter 2014

მარიამ პატატიშვილი

„ერთ წყვილ ახალ ფეხსაცმელს შეუძლია შეცვალოს ცხოვრება...“

ლორენ ოლივერი

ფეხსაცმელი გარდერობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია. თანამედროვე ადამიანი ფეხსაცმელს ბევრ მოთხოვნას უყენებს და კარგმა პროდუქტმა ყველა ეს მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს. როგორი უნდა იყოს იდეალური ფეხაცმელი? მოხერხებული, ხარისხიანი, მოდური, ნატურალური, ელეგანტური, დახვეწილი... სწორედ ასეთი ფეხსაცმელების დიდ არჩევანს გთავაზობენ მსოფლიოში ცნობილი ბრენდები ***TAMARIS, ECCO, GEOX***. ამ ბრენდებმა დიდი ხანია, მოიპოვეს ლიდერი მწარმოებლების რეპუტაცია. ამ პროდუქციის მომხარებელი ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში გრძნობს თავს თავდაჯერებულად, გამოხატავს საკუთარ ინდივიდუალობას და დახვეწილ გემოვნებას.

GEOX

348 ლარი

388 ლარი

248 ლარი

388 ლარი

INTERNATIONAL CORPORATION

საუკეთესო ხარისხის ფეხსაცმელების შეძენა თბილისში შეგიძლიათ შემდეგ მისამართებზე:
ტამარისი – ვაჟა-ფშაველას გამზ. 26
ეკკო და ჯეოქსი – პეკინის 29; ცოტნე დადიანის 7
(*სავაჭრო ცენტრი "ქარვასლა"*)

229 ლარი

159 ლარი

229 ლარი

Tamaris®

349 ლარი

229 ლარი

STUDIO BY SHOES GALLERY

SILVANO PEROTTI · CALZOLAIO · | Progetto by Studio EST 1978 | Calvin Klein | Pepe Jeans LONDON | VAGABOND | ECCO | AJ ARMANI JEANS | LLOYD SHOES FOR MEN! | Desigual | GEOX | PALLADIUM L'ORIGINALE DEPUIS 1947

„სტუდიო ფეხსაცმლის გალერეამ“ გააფართოვა ქსელი. თბილისში წარმოდგენილია უკვე 6 ფილიალით და ბათუმში 1 მაღაზიით. 2014/2015 წლის კოლექციაში წარმოდგენილია ბრენდები: ***SILVANO PEROTTI, PROGETTO BY STUDIO, CALVIN KLEIN, PEPE JEANS, VAGABOND, ARMANI JEANS, LLOYD, DESIGUAL, ECCO, GEOX, PALLADIUM***

ბრენდების ფეხსაცმელები იყიდება ასევე „სტუდიო ფეხსაცმლების გალერეას“ ქსელში, მისამართებზე:
თბილისი — ვაჟა-ფშაველას 26, ჭავჭავაძის 33, სავაჭრო გალერეა რუსთაველის 42", თბილისი მოლი, აღმაშენებლის 111
ბათუმი — გამსახურდიას 15

MOA
ƏMS
ICR
INTERNATIONAL CORPORATION
ICRCORPORATION
WWW.ICR.GE
ვაჟა-ფშაველას გამზ. 26
ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
ც. დადიანის 7 (ს/ც. „ქარვასლა“)

ადამიანმა ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს საკუთარ თავზე ზრუნვა

რა არის სილამაზის და ჯანმრთელობის შენარჩუნების მთავარი ოქროს წესი, გარუჯვის რომელი გზებია უსაფრთხო და რა ასაკიდან უნდა დაიწყოს ადამიანმა საკუთარ თავზე ზრუნვა – გაიგეთ INTERVIEW-დან, რას ურჩევს მკითხველს ტელეწამყვანი ეკო ფანგანი

INTERVIEW. **ჯანმრთელობა და სილამაზე**

EKO FANGANI. ჯერჯერობით ორივეს ვინარჩუნებ და ეს, ალბათ, მეტწილად, გენეტიკის დამსახურებაა. თუმცა ვფიქრობ, კვების დარეგულირება ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ჯანმრთელობის, ისე სილამაზის შესანარჩუნებლად. სწორი კვება, ვარჯიში და ჯანსაღი ცხოვრების რიტმი არის მთავარი. საერთოდ ვფიქრობ, რომ ადამიანმა ადრეული ეტაპიდანვე უნდა დაიწყოს საკუთარ თავზე ზრუნვა.

I. **როგორ უვლით თავს?**

E. F. თავის მოვლის განსაკუთრებული პროცედურები არ მაქვს. დილას ვიწყებ დამატენიანებლით და მსუბუქი მაკიაჟით. ძალიან ვუფრთხილდები სახის კანს, აქედან გამომდინარე არასოდეს ვიძინებ მაკიაჟით. დამღლელი დღის შემდეგ კი მიყვარს სხვადასხვა მარილის აბაზანების მიღება.

I. **თავის მოვლის ხალხური საშუალებები**

E. F. არსებობს ძალიან კარგი ნიღბები, ხილის, ბოსტნეულის, რძის პროდუქტების, რამდენჯერმე მეც მიცდია, თუმცა ხშირი მომხმარებელი არ ვარ. >

Eko FANGANI

მომწონს, რადგან ნატურალურ პროდუქტებს შეიცავს და უფრო ბუნებრივია, ვიდრე ხელოვნურად შედგენილი ნიღბები.

I. გარუჯვის რა გზას მიმართავთ?

E. F. ვამჯობინებ მზის სხივებს, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში ბუნებრივად, მთელი წლის განმავლობაში მზის სხივებით გარუჯვა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, მივმართავ სოლარიუმს. ბოლო ორი წლის განმავლობაში კი ვცდილობ, იშვიათად მივმართო გარუჯვის ამ გზას. სოლარიუმი და შუადღის მზე არის არა მხოლოდ ყველა დაავადების საწინდარი, არამედ იწვევს ადრე დაბერებასაც.

I. ასაკი – შიში თუ თავდაჯერებულობა?

E. F. შიშიც და თავდაჯერებულობაც. რაღაცების გეშინია, მაგრამ, ამავე დროს, თავდაჯერებული ხარ. შიში ალბათ ხანდაზმულ ასაკში მოდის, თუმცა ზოგს მოსწონს კიდეც ბებიის ან ბაბუის ამპლუა. თავდაჯერებულობისთვის კი აპრიორი არის ასაკი, ნებისმიერ საკითხში ხდები უფრო თავდაჯერებული.

I. მთავარი ნივთი

E. F. ყოველთვის და ყველგან მუდმივად ჩართული მიდევს გვერდზე ტელეფონი. მე ვარ 21-ე საუკუნის ადამიანი. ვგიჟდები სოციალურ ქსელებზე, კომუნიკაციის ყველანაირ წყაროზე, რომელიც შეიძლება აახლოებდეს, აკავშირებდეს და ამეგობრებდეს.

I. რა არის ყველაზე დიდი მოტივაცია იმისათვის, რომ ფორმაში იყოთ?

E. F. ყველა ქალისთვის ყველაზე დიდი მოტივაცია იმისათვის, რომ მუდმივად კარგად გამოიყურებოდეს არის გაპრანჭვა (როცა ვიღაცას ეპრანჭება). ჩემ შემთხვევაში, მოტივაციაა მაყურებელიც. ყოველდღე ვიღებ წერილებს ჩემი ჩაცმულობის, ვარცხნილობის შესახებ. ხალხი რომ გიყურებს, უყვარხარ და ამას გაგრძნობინებს – ესაა მნიშვნელოვანი სტიმული. მადლობა ჩემს მაყურებელს ამისთვის.

I. რა არის ქალში ყველაზე მიმზიდველი?

E. F. ძნელია თქმა. პირველი ნახვის შედეგად შეიძლება მისმა გარეგნობამ მოგჭრას თვალი, სახემ, ფეხებმა. მაგრამ სენსიტიურობა, სექსულურობა, შინაგანი მიმზიდველობა გადმოიცემა თვალებით. როცა თვალებიდან გადმოიცემა მგრძნობიარობა, ეს არის ყველაზე მეტად მიმზიდველი.

I. პლასტიკური ქირურგია

E. F. მისაღებია. თავად გავიკეთე ცხვირის წვერის კორექცია. მიყვარს ზომიერება. არ მომწონს ის, რაც არ გამოიყურება ბუნებრივად. ვისურვებდი, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს საშუალება, შეისწოროს ის, რაც არ მოსწონს საკუთარ გარეგნობაში, გახდეს თავდაჯერებული, ბედნიერი.

I. რა არის განტვირთვის საუკეთესო საშუალება?

E. F. მიყვარს განტვირთვა მარტოს ან მეგობრებთან ერთად. ძალიან მიყვარს მასაჟი, როგორც უკვე ვთქვი, სხვადასხვა აბაზანა, ეს მიხსნის დაღლილობას. თუმცა მორალური დასვენებისთვის მიყვარს ფილმების ყურება, ბუნებაში მარტო ყოფნა, ამ დროს სხვანაირად ვიტვირთები.

I. რჩევა მკითხველს...

E. F. იყავით თავდაჯერებულები, როცა ადამიანი დარწმუნებულია საკუთარ ძალებში, საოცრებები ხდება. არასოდეს შეწყვიტოთ თქვენი ოცნებებისკენ სწრაფვა. ცხოვრების რაღაც ეტაპზე აუცილებლად ხდება მათი რეალიზება. არასოდეს დაკარგოთ ამის იმედი.

მარიამ პატატიშვილი

აღმაშენებლის ხეივანი მე-16 კმ., 0131 თბილისი, საქართველო
16th km, Aghmashenebeli Alley, 0131 Tbilisi, Georgia; +995 322 505 556; info@tbilisimall.com
marketing@tbilisimall.com; www.facebook.com/TbilisiMall; www.youtube.com/TbilisiMall; www.tbilisimall.com

როგორ მოვუაროთ კანს ზამთარში?

სეზონის ცვლილება და კანის მოვლა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია. ამინდის და კლიმატის ცვალებადობა აუცილებლად მოითხოვს კანის განსხვავებულ, განსაკუთრებულ მოვლას.

თუ ჯერ არ მომზადებულხართ ცივი ამინდისთვის, დრო ჯერ კიდევ გაქვთ, თუმცა მზადების დაწყება არასდროსაა ადრე, ხანდახან პირიქითაც, ბევრი დრო კარგი შედეგის განმაპირობებელი ფაქტორია. სხვადასხვანაირი ტიპის კანს სხვადასხვანაირი მოვლა სჭირდება.

თუ მშრალი კანი გაქვთ, ცივი ამინდის დროს, თქვენი მთავარი პრობლემა მისი კიდევ უფრო გამოშრობაა. ასეთ დროს, კანი იქერცლება. მისი მთავარი მკურნალი სახის დამატენიანებლებით გაწმენდაა. არ არის რეკომენდებული ლოსიონის ხმარება, ის უფრო აშრობს კანს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ თვალის არეს, რათა დაცული იყოთ ნაოჭების გაჩენისგან. თვალის არეში კანი თხელი და ფაქიზია, ამიტომ მისი დატენიანება უფრო ინტენსიურადაც შეიძლება, ვიდრე სახის დანარჩენი ნაწილის.

ცხიმიანი კანი ზამთარში ბევრად ადვილი მოსავლელია, ვიდრე მშრალი. ამ შემთხვევაში, თქვენ ნაკლები პრობლემა გაქვთ, მართალია, ზამთარში კანი ოდნავ მაინც პრიალებს, მაგრამ ამას ადვილად მოევლება. დილაობით რძით სახის გაწმენდა მარტივად აგვარებს ამ პრობლემას. ასევე, ცხიმიანობის შესამცირებლად, რეკომენდებულია ტალახის ნიღბები, კვირაში ერთხელ. ცხიმიანი კანის სახლის პირობებში მოსავლელად აპრობირებული მეთოდია სიმინდის ფქვილის ნიღაბი, ზოგ შემთხვევაში, მარილსაც იყენებენ. ასევე, სახლის პირობებში, შესაძლებელია ცხიმიანი კანისთვის განკუთვნილი სკრაბის გამოყენება. >

PHOTO: Barbara Palvin For L'Oreal Paris

PHOTO: Barbara Palvin For L'Oreal Paris

კომბინირებული კანი ყველაზე გავრცელებულია ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ადამიანებში.

ამ სახის კანისთვის დამახასიათებელია პრიალი შუბლის, ცხვირის და ნიკაპის არეში. საფეთქლებზე, თვალის ირგვლივ და კისერზე კანი მშრალია. ამ ტიპის კანი, ბუნებრივია, სხვადასხვანაირ მოვლას მოითხოვს. მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ სახის ზონებად დაყოფას: მშრალი კანის ზონა და ცხიმიანი კანის ზონა. ბუნებრივია, ამ დროს სახის მშრალ არეს ვუვლით ისე, როგორც მშრალ კანს, ცხიმიანს კი ისე, როგორც - ცხიმიანს. კომბინირებული კანის დაბანა შესაძლებელია გელით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – საპნით. ასეთ დროს კანი მნიშვნელოვნად შრება. არსებობს სპეციალური ნიღბები კომბინირებული კანისთვის, რომლებიც უნივერსალურია და არ საჭიროებს სახის შრეებად დაყოფას.

კანი ზამთარში კარგავს მინერალების მნიშვნელოვან რაოდენობას და აუცილებელია მათი აღდგენა. განსაკუთრებით ზამთარში. ყურადღება უნდა მივაქციოთ ვიტამინებისა და მინერალების ბალანსს. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ნატურალურ პროდუქტებს. შინაურულ მეთოდებში აქტიურად გამოიყენება ბანანის და ნაღების ნიღაბი, რომელიც ხელს უწყობს სახის კანის დატენიანებას და გაჯანსაღებას, ასევე, ხაჭოს ნიღაბი, რომელიც შედგება ერთი ჩაის კოვზი ხაჭოს, ამდენივე რძის, თაფლის და სტაფილოს წვენის შერევით. ამ სახის ნიღაბიც გამოირჩევა ცოცხალი მინერალებით, რომელიც აჯანსაღებს კანს.

სიცივისგან კანის დაცვა სეზონური პრიორიტეტია. შეწითლებული სახე მეტყველებს იმაზე, რომ თქვენს კანს დაცვა სჭირდება, ამიტომ, სახლიდან გასვლის წინ არ დაგავიწყდეთ სიცივისგან დამცავი საშუალების მოხმარება.

ყურადღება მიაქციეთ თქვენი კანის მდგომარეობას. არსებობს შემთხვევები, როცა თვითნებურად რაიმე გადაწყვეტილების მიღება უფრო მეტ პრობლემას ქმნის, ამიტომ, სახლის პირობებში კანის მოვლა, ხშირ შემთხვევაში, არ არის გამოსავალი. ეცადეთ, უკიდურეს გაუარესებამდე არ გადადოთ დერმატოლოგთან ვიზიტი. პრობლემის დასაწყისში მისი მოგვარება ბევრად მარტივია!

ნინო ლომიძე

ნიღაბი ნორმალური და მშრალი კანისთვის

ინგრედიენტები:

- ორი სუფრის კოვზი ყურძნის წვენი
- ერთი ჩაის კოვზი არაჟანი
- ერთი ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი
- ერთი კვერცხის გული
- ქერის ფქვილი

მომზადება და გამოყენება:

ყველა ინგრედიენტი ავურიოთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. 15 წუთით გაიჩერეთ სუფთა სახის კანზე და ჩამოიბანეთ გრილი ჩაის ნაყენით.



3

ნიღაბი ცხიმიანი პანისთვის

ინგრედიენტები:

- ერთი სუფრის კოვზი გახეხილი უმი გოგრა
- ერთი სუფრის კოვზი პურის ფქვილი
- ერთი ჩაის კოვზი ლიმნის წვენი
- 2,5 სუფრის კოვზი ტომატის წვენი

მომზადება და გამოყენება:

ყველა ინგრედიენტი ავურიოთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. 20 წუთით გაიჩერეთ სახის სუფთა კანზე და ჩამოიბანეთ გრილი წყლით.

2

ნიღაბი კომბინირებული პანისთვის

ინგრედიენტები:

- ერთი ცალი მოხარშური დაბლენდერებული სტაფილო
- ერთი სუფრის კოვზი თაფლი
- ½ ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი
- 1 ჩაის კოვზი ლიმნის წვენი
- შვრია

მომზადება და გამოყენება:

ყველა ინგრედიენტი ავურიოთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. 10 წუთით გაიჩერეთ სახის სუფთა კანზე და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ოპ სეთ კაცების

ძველ დროში ყველა ქალმა იცოდა, როგორ უნდა მოქცეოდა მამაკაცს და მით უმეტეს – ქმარს. აღმოსავლურ ქვეყნებში დღემდე შემორჩენილია ქალსა და კაცს შორის მკვეთრი ფუნქციონალური სხვაობა, თუმცა ეს ხელს არ უშლის მსოფლიოს დაწინაურებაში. დღეს, 21-ე საუკუნეში, როცა გენდერული თანასწორობის ქიმზე ვართ, ქალები უკვე დაიბნენ და ვერ გაუგიათ, როგორია ის „ჯადოქრობა", როცა მამაკაცი მუდმივად მოხიბლულია ქალბატონით. ძალიან ბევრი ჭორ-მართალია გავრცელებული იმის შესახებ, თუ რა სურს არა კაცს, არამედ ქალს. მამაკაცები ბრალს გვდებენ, რომ ქალბატონები რთული და ამოუხსნელი არსებები ვართ, ამ დროს კი, ჩვენც ვერ გაგვიგია კაცებს რა სურთ, მაშინ როცა თითოქოს კარგადაა ცნობილი რა მარტივია მამაკაცის სურვილების ამოცნობა. INTERVIEW დაინტერესდა ამ თემით. გადავწყვიტეთ გადაგვემოწმებინა მართლაც ასე მარტივია თუ არა პასუხი კითხვაზე: რა სურთ კაცებს? ამიტომ ვესტუმრეთ წყალბურთელებს და უბრალოდ ვკითხეთ მათ ამის შესახებ. პასუხები, ნამდვილად საინტერესო და მრავაფლეროვანი იყო და, სხვათაშორის, არც ძალიან მარტივადაა საქმე...

მიშა ბაღათურია

INTERVIEW. **როგორ გამოიყურება თქვენთვის სექსუალური ქალი?**
MISHA BAGATURIA. ქერა ან შავგვრემანი, წითური – არა. ლამაზი, არც ძალიან მსუქანი, პროპორციული უნდა იყოს და უნდა ჰქონდეს შარმი.

I. **რა თვისებები უნდა ჰქონდეს თქვენს პარტნიორს?**
M. B. იუმორის გრძნობა, უნდა მიგებდეს. ვარ სპორტსმენი და უნდა შეეძლოს გაგება, არ უნდა იყოს ეჭვიანი და უნდა ვუყვარდე.

I. **მოგწონთ ქალები, რომლებიც ყველაფერში უგებენ პარტნიორს?**
M. B. ზომიერად, რა თქმა უნდა, მისაღებია. ყველაფერში გაგება და დათანხმება უკვე სიშტერეა.

I. **მოგწონთ რთულად მოსაპოვებელი ქალები?**
M. B. არა. ზედმეტად არის გავრცელებული ჩვენთან მსგავსი საქციელი და არ მომწონს.

I. **მოგწონთ ძლიერი და დამოუკიდებელი ქალები?**
M. B. არა, ძალიან ძლიერი ქალები არ მომწონს, მაგრამ დამოუკიდებელი – აუცილებლად.

I. **როდის კარგავთ ინტერესს ქალის მიმართ?**
M. B. საუბრის დროს შეიძლება სრულიად გადაესვას ხაზი მომხიბვლელობასაც და სილამაზესაც.

I. **მოგწონთ ურთიერთობაში აქტიური ქალები?**
M. B. არა, გამაღიზიანებელია. მე არ მხიბლავს.

I. **გიზიდავთ თუ არა უფროსი ასაკის ქალები?**
M. B. 18 წლის რომ ვიყავი, მქონდა ასეთი შემთხვევა და ვიტყუებოდი ასაკს. თუმცა სიყვარულით არამგონია, შემიყვარდეს.

I. **ქალი კარგი მზარეული უნდა იყოს?**
M. B. აუცილებელი არ არის. ფინანსური მდგომარეობა ხელს თუ გიწყობს, რესტორანში ივახშმებ.

I. **გჯერათ ქალსა და კაცს შორის ნამდვილი მეგობრობის?**
M. B. არ მჯერა.

I. **თვლით, რომ სექსი ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვანია?**
M. B. ძალიან მნიშვნელოვანია. >

ზურა ჩიკვაიძე

INTERVIEW. როგორ გამოიყურება თქვენთვის სექსუალური ქალი?
ZURA CHIKVAIDZE. კარგი ტანი უნდა ჰქონდეს.

I. რა თვისებები უნდა ჰქონდეს თქვენს პარტნიორს?
B. Q. მეგობრული უნდა იყოს.

I. ქერა თუ შავგრემანი?
B. Q. ქერა.

I. რას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
B. Q. თავმდაბლობას.

I. მოგწონთ ყველაფერში რომ გიგებენ?
B. Q. არა, უნდა შემეწინააღმდეგოს.

I. რა გაგიკეთებიათ განსაკუთრებული ქალისთვის?
B. Q. შემიძლია მთელი ჩემი ხელფასი შეყვარებულს დავახარჯო და ასეც ვიქცევი.

I. მოგწონთ, როცა ქალი ძალიან ყურადღებიანია?
B. Q. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

I. რა გაღიზიანებთ ქალში ყველაზე მეტად?
B. Q. ზედმეტად რომ უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.

I. მნიშვნელოვანია ქალი სპორტით იყოს დაკავებული?
B. Q. გამიხარდება, თუ იქნება.

I. მოგწონთ თუ არა დამოუკიდებელი ქალები?
B. Q. ეს მე არ მაკომპლექსებს და დამეხმარება კიდეც ბევრ რამეში, თუმცა მითქვამს, რომ ჩემს ცოლს არ ვამუშავებ-მეთქი.

I. როდის გეკარგებათ ქალის მიმართ ინტერესი?
B. Q. როცა ბილწსიტყვაობს.

I. მოგწონთ ურთიერთობის დასაწყისში აქტიური ქალები?
B. Q. არ მომწონს!

I. რთულად მოსაპოვებელ ქალებზე რა აზრის ხართ?
B. Q. ჩემი შეყვარებული იყო რთულად მოსაპოვებელი და მე ეს ძალიან მომწონს.

ზურაბ რურუა

INTERVIEW. **რა გაღიზიანებთ ქალში ყველაზე მეტად?**
ZURAB RURA. რაც შეიძლება ნაკლები გოგო უნდა იყოს მძღოლი, არცერთ ქვეყანაში არ ზის ამდენი ქალი საჭესთან, როგორც საქართველოში.

I. **რამდენად გჯერათ ქალსა და კაცს შორის მეგობრობის?**
Z. R. იშვიათია ქალსა და კაცს შორის მეგობრობა.

I. **როგორ რეაგირებთ, როცა თქვენი მეუღლე ეჭვიანობს?**
Z. R. ცოტა ცინიკური ვარ.

I. **რაიმე რომანტიკული თავგადასავალი თუ გახსენდებათ?**
Z. R. რომანტიკული არ ვარ. მხოლოდ ის მახსენდება, რომ მოულოდნელად ჩემს მეორე ნახევართან ჩავსულვარ სადმე. ზოგადად შეყვარებულობის დროს უფრო ხდებოდა ესეთი თავგადასავლები.

I. **რამდენად ხშირად თმობთ?**
Z. R. ზომიერად დამთმობი ვარ.

I. **ვარიერას დათმობთ?**
Z. R. ვერა! ვიდექი კიდეც ასეთი ფაქტის წინაშე. ტრავმა მქონდა და მივხვდი, რომ არ ვიყავი მზად და ვერ შეველეოდი.

I. **თქვენი აზრით, არის განსხვავება ქალისა და კაცის ღალატი?**
Z. R. კი, განსხვავდება, რა თქმა უნდა, კაცის ღალატი უფრო მიღებულია.

I. **რამდენად ხშირად საუბრობთ ბიჭები ქალებზე?**
Z. R. ადრე, სანამ ცოლს მოვიყვანდი, რა თქმა უნდა, ვსაუბრობდით. ახლა უკვე ნაკლებად. ზოგადად, ასეთი რამ კაცებს სჩვევიათ.

I. **მოგწონთ ძლიერი და დამოუკიდებელი ქალები?**
Z. R. ნამდვილად არ ვგიჟდები. არ მომწონს ქალი, რომელიც მამაკაცის საქმეს აკეთებს.

I. **რითი განსხვავდება ქართველი ქალი უცხოელებისგან, რა მოგწონთ და არ მოგწონთ მათში?**
Z. R. მომწონს ის, რომ მეგობრობა უფრო იციან, ვიდრე უცხოელებმა. ქართველებმა მეგობრობა და ურთიერთობა იციან ძალიან კარგი. იციან საუბარი, სხვადასხვა ისტორიების მოყოლა, გართობა. ერთანეთთან მთელი დღის გატარება შეუძლიათ. ცუდი კიდევ ის არის, რომ არ მიყვარს მოდებილო გოგოები, ყველაფერს რომ იჯერებენ, რასაც ეუბნები და ყველაფერზე ერთი და იგივე კითხვით, რომ გპასუხობენ – მართლა? სიტყვებს რომ წელავენ. >

ბექა ქავთარაძე

INTERVIEW. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ქალებთან, რომელთაც შეუძლიათ ყველაფერში მარტივად გაგიგონ?

BEQA QAVTARADZE. როცა საქმე ოჯახს ეხება, მაშინ ჩვენ ერთმანეთს ყველაფერში ვუგებთ, ისე კი შესაძლოა რაღაცებში ვერ გამიგოს.

I. განსხვავდება კაცსა და ქალის შორის ღალატი?
B. Q. არავითარი განსხვავება არ არის.

I. რა გაგიკეთებიათ ქალის გულის მოსაგებად?
B. Q. მუდმივად საჩუქრებით და ყურადღებით ვანებივრებ.

I. რომანტიკული ხართ?
B. Q. მეტნაკლებად.

I. ეჭვიანი?
B. Q. ზომიერად.

I. როცა თქვენი მეუღლე ეჭვიანობს, როგორ რეაგირებთ?
B. Q. ღიმილით.

I. ქალი კარგი მზარეული უნდა იყოს?
B. Q. აუცილებელი არ არის, მაგრამ კარგია თუ იქნება.

I. როგორი ხართ როცა გიყვარდებათ?
B. Q. ვარ ყოველთვის ყურადღებიანი.

I. ყველა მნიშვნელოვანი თარიღი გახსოვთ?
B. Q. ჩემს მეუღლეს უფრო მეტი ახსოვს, ვიდრე მე.

I. რამდენად ხშირად გიტკენიათ ქალისთვის გული?
B. Q. ყოფილა შემთხვევები.

I. ქალსა და კაცს შორის მეგობრობის გჯერათ?
B. Q. კი, მჯერა, მეც მყავს ქალი მეგობრები.

I. სრულიად დამოუკიდებელი და ძლიერი ქალები მოგწონთ?
B. Q. მივესალმები.

I. რამდენად უშლის ხელს ურთიერთობას ძლიერი და წარმატებული ქალი?
B. Q. არანაირად. მისაღები იქნება, რომ ჩემი მეუღლე ჩემზე უფრო წარმატებული იყოს. მე მსგავსი შემთხვევა არ მქონია და ვფიქრობ, ეს პრობლემა არ უნდა იყოს.

ბიორგი ხვედელიანი

INTERVIEW. **როგორ გამოიყურება თქვენთვის სექსუალური ქალი?**
GEORGE KHVEDEKIANI. უპირველეს ყოვლისა, მოვლილი უნდა იყოს, ჩაცმულობას აქვს მნიშნელობა და უნდა ჰქონდეს ეშხი.

I. **რა თვისებები უნდა ჰქონდეს თქვენს პარტნიორს?**
G. KH. გამგებიანი და დამთმობი. უპირველესად, ჩემი მეგობარი უნდა იყოს.

I. **ყველაზე მეტად რას აფასებთ ქალში?**
G. KH. ერთგულებას.

I. **გამოარჩევთ რომელიმე პროფესიის ქალებს?**
G. KH. მთავარია, იყოს განათლებული.

I. **როგორია თქვენი დამოკიდებულება რთულად მოსაპოვებელი ქალებისადმი?**
G. KH. რთულად მოსაპოვებელი ქალი უფრო დიდ ინტერესს იწვევს. მამაკაცსაც სწორედ ეს ხიბლავს.

I. **რამდენად განსხვავდება კაცისა და ქალის ღალატი?**
G. KH. არ განსხვავდება.

I. **მიგაჩნიათ, რომ ქალი აუცილებლად კარგი მზარეული უნდა იყოს?**
G. KH. აუცილებელი არ არის, თუმცა თუ ეხერხება, ეს კარგია.

I. **თქვენი ძლიერი მხარე რა არის?**
G. KH. მოთმინება.

I. **რთული ხასიათი გაქვთ?**
G. KH. არა.

I. **ეჭვიანი ხართ?**
G. KH. ზომიერად.

I. **ქალი რომ ეჭვიანობს თქვენზე, რა რეაქცია გაქვთ?**
G. KH. იუმორით ვეკიდები.

I. **ეჭვიანობის საბაბს ხშირად აძლევთ?**
G. KH. არა.

I. **გჯერათ ქალსა და კაცს შორის მეგობრობის?**
G. KH. მჯერა, ოღონდ ეს ძალიან იშვიათია, როცა ღრმა ბავშობიდან მოდის ეს მეგობრობა. >

სანდრო ყაზახიშვილი

INTERVIEW. რა თვისებები უნდა ჰქონდეს თქვენს პარტნიორს?
SANDRO KAZAKHISHVILI. ხელი უნდა შემიწყოს და ნაკლებად ეჭვიანი იყოს, პატივი უნდა სცეს ჩემს პროფესიას.

I. ქერა თუ შავგვრემანი?
S. K. შავგვრემანი და დიდთვალება.

I. რას აკეთებთ თავისუფალ დროს?
S. K. სახლში ვარ, და მუსიკას ვუსმენ, ასევე მეგობრებთან ერთად ვერთობი.

I. მოგწონთ თუ არა ქალები, რომლებიც ყველაფერში უგებენ პარტნიორს?
S. K. იდეალური არავინ არის და რაღაც გაუგებრობები აუცილებლად იქნება, ისე მომწონს.

I. მოგწონს რთულად მოსაპოვებელი ქალები?
S. K. ეგ მინუსი მაქვს – მომწონს რთულად მოსაპოვებელი ქალები!

I. განსხვავდება კაცისა და ქალის ღალატი?
S. K. არა, არ განსხვავდება.

I. ქალი კარგი მზარეული უნდა იყოს?
S. K. არ ვიცი. მე მიყვარს, როცა საჭმელს ჩემით ვამზადებ.

I. რითი შეიძლება ქალმა მოგხიბლოთ?
S. K. უბრალოებით.

I. სუსტი და ძლიერი მხარე.
S. K. ძალიან გახსნილი ვარ. პატიება შემიძლია ადვილად. ძლიერი მხარე ჩემი მოთმინების უნარია.

I. ეჭვიანი ხართ?
S. K. ძალიან.

I. გჯერათ ქალსა და კაცს შორის მეგობრობის?
S. K. მჯერა.

I. როდის კარგავთ ქალის მიმართ ინტერესს?
S. K. როდესაც ვხედავ, რომ მატერიალისტია.

ეკო ცეცხლაძე

სითი ფარმა CITY PHARMA

კონკრეტული

25% ფასდაკლება

რეცეპტურულ მედიკამენტებზე
ჯიპისის და სითი ფარმას ქსელში

ყოველ სამუშაო დღეს

დამატებითი სარგებელი მუდმივი მოხმარების მედიკამენტებზე
ყოველდღე

ჯიპისი GPC

D and

photo
SASHÀ PRISHVIN
styling
ANANO DOLABERIDZE
project manager and text
EKO TSETSKHLADZE

AMBASADORI



შორენა ბეგაშვილი

სექსი, ოცნებები და წიგნები

SEX REAMS BOOKS

ინტერვიუ სასტუმრო „ამბასადორში“ დავგეგმეთ. როგორც კი კარი გაიღო და შემოვიდა, მაშინვე ვიგრძენი, სანერვიულო არაფერი იყო. დავინახე როგორი უშუალო, მეგობრული, თავაზიანი და გულწრფელი ადამიანია შორენა. თბილად მომესალმა, გამიღიმა და უცებ ნერვიულობამაც გადაიარა.

INTERVIEW. შორენა, ეკრანზე პირველი გამოჩენის შემდეგ შეიცვალეთ?
SHORENA BEGASHVILI. რა თქმა უნდა, აბა რა. ყველაფერმა ერათად შემცვალა.

I. როგორ ქმნით თქვენს იმიჯს?
SH. B. კარგი იქნებოდა საქართველოში ყოფილიყო განვითარებული პროდიუსერის ინსტიტუტი. მაშინ ის იზრუნებდა ჩემს იმიჯსა და სახელზე, დღეს ყველაფრის კეთება მე მიწევს. რასაკვირველია, ამ ყველაფერში საზოგადოებაც მეხმარება, რადგან მათი მხრიდან მუდმივ ინტერესს ვგრძნობ.

I. შენ ხარ ძალიან პოპულარული, რეიტინგული და სკანდალური...
SH. B. არა, მე არ ვარ სკანდალური, ჟურნალისტები მიქმნიან მსგავსს იმიჯს და მიწყობენ ხელს.

I. მიუხედავად საზოგადოების მკაცრი განწყობისა, თქვენ კვლავ აგრძელებთ თამამ სცენებში მონაწილეობას...
SH. B. რატომ არ უნდა მიიღო მონაწილეობა, როდესაც გარეგნობა გიწყობს ხელს, ითამაშო ასეთი როლი? ქართველები ფილმს თუ კონკრეტულ სცენას ცხოვრებასთან აიგივებენ. მაგალითად, ახლა იწყება ახალი გადაცემა, რომელშიც ყოველ კვირა ახალ მამაკაცზე ვთხოვდები და ხომ წარმოგიდგენიათ რა ხდება? მეკითხებიან – ერთი კვირა მასთან ცხოვრობ? მერე ღამე რას აკეთებ? ყველა გადაცემას სჭირდება ქალი, წარმოუდგენელია ეთერში მუდმივად მამაკაცს უყურო. როცა ქალია გადაცემაში თუ ფილმში გაინტერესებს: რა აცვია, რას ამბობს, როგორ იქცევა, სურვილი გიჩნდება, გააკრიტიკო, გაჭორო და ასე შემდეგ. ბევრად უფრო საინტერესოა.

I. ყველაზე მეტად რა გტკენს გულს?
SH. B. ამ ზაფხულს ჩემს ძაღლს დამბლა დაეცა, ძალიან განვიცადე, მასაჟისტი ავუყვანე, ჩემი ხელით ვაბანავებდი აუზში, ეს იყო რეაბილიტაციის პროცესი. მახსოვს, რომ მაშინ ძალიან განვიცადე და გული მტკიოდა. ჩემთვის სწორედ ეს არის მტკივნეული – ჩემი ახლობლის ცუდად ყოფნა, სხვა დანარჩენზე მე დიდი ხანია, რეაქცია აღარ მაქვს. >

შორენა ფიქრობს, ოცნებობს, გეგმავს. მიზნისკენ მუდმივად ისწრაფვის. აქვს თავისი გზა და ამ გზას ყოველთვის მიყვება. ზრდის შვილს, რომელთანაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს. ძალიან კარგი დედა და მეგობარია. რეალური შორენა ბეგაშვილი ფილმების და გადაცემების შორენასგან განსხვავდება და ეს განსხვავება იგრძნობა კიდეც როდესაც მას პირადად გაიცნობთ.

I. რაზე ოცნებობთ?

SH. B. მინდა ჩემი მაღაზია-ატელიეს გახსნა. როცა საინტერესო იდეები მაქვს ხოლმე ყოველთის ვიკერავ სამოსს. თუმცა საკუთარი ბიზნესის აწყობას დრო და ადამიანური რესურსი სჭირდება. მე კვირაში 7 დღე ვმუშაობ და, რა თქმა უნდა, დრო არ მაქვს. ამიტომ ჯერჯერობით ეს ყველაფერი სურვილის დონეზეა.

I. რას იტყვით ყოფილ მეუღლეზე? რატომ დაშორდით? თქვენს კარიერულ წინსვლას ვერ შეეგუა?

SH. B. ჩემს მეუღლეს რომ დავშორდი, კარიერულად წინ მერე წავიწიე, ფლეიბოიც იმ პერიოდში გადავიღეთ, როცა უკვე ვშორდებოდით. დღეს მას ცოლი ჰყავს და თავისი ცხოვრება აქვს. ყოველდღე ნამდვილად არ ვჭორაობთ, მაგრამ ურთიერთობა რაღაც დონეზე, რა თქმა უნდა, გვაქვს.

I. მისი ამჟამინდელი მეუღლე თქვენზე არ ეჭვიანობს?

SH. B. არ ვიცნობ, გავიცნობ მალე, ალბათ.

I. გინდათ, რომ თქვენი შვილი გგავდეთ?

SH. B. ჩემი შვილი ჩემით ძალიან ამაყობს. რა თქმა უნდა, მინდა, რომ მგავდეს. მგავს კიდეც, მაგრამ თან განსხვავდება. მე ვფიქრობ, რომ შვილი ასეთი უნდა ინატრო. მას ესმის ჩემი, ვმეგობრობთ. ერთად გავიზარდეთ. თავიდან ნერვიულობდა, როცა ჩემზე წერდნენ რაღაცებს. ახლა უკვე აღარ აქცევს ყურადღებას და აღარც განიცდის.

I. დღეს თქვენ არ ხართ მარტო, მაგრამ ამ ყველაფერს არ ახმაურებთ. ნებისმიერ შენაძენს თქვენს მეგობარ მამაკაცს უკავშირებენ და ამბობენ, რომ ამ ყველაფერს ის გჩუქნით...

SH. B. არ ვიცი მუდმივად თავის მართლება რატომ მიწევს, როცა რაღაცას შევიძენ. ჩემი პირველი მანქანა რომ ვიყიდე, ისიც სხვას მიაწერეს. ბინა ვიყიდე და საყვარელმა აჩუქაო. >

შორენა ბეგაშვილის სილამაზე, კარიერა თუ პირადი ცხოვრება მუდმივი განხილვის საგანია. საზოგადოება ბევრს საუბრობს შორენას თითოეულ ნაბიჯზე. მისი თამამი ჩაცმულობა თუ როლი ყოველთის ინტერესს იწვევს, მაშინ, როდესაც დღეს ძალიან ბევრი ალბათ შორენაზე თამამ სცენებშიც იღებს მონაწილეობას და მასზე სკანდალური ცხოვრებაც აქვთ. ყველაზე დიდ ინტერესსა და მითქმა-მოთქმას კი შორენას ცხოვრება იწვევს...

ყველა ჩემი შენაძენი მეკუთვნის მე. ძალიან ბევრს ვმუშაობ იმისთის, რომ ცხოვრება გავიუჯობესო. ვისაც ახსოვს როგორ ვცხოვრობდი ჩემი კარიერის დასაწყისში, შეადარებს ეხლანდელ ცხოვრებას და მიხვდება, რომ ამისთვის ბევრი ვიმუშავე. ვარ სამი კომპანიის სახე, არა მარტო საქართველოში... და როცა სარეკლამო გადაღებაა, აუცილებლად ვიღებ ჰონორარს. მე არ ვმუშაობ მხოლოდ ეკრანზე გამოჩენისთვის.

I. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა კომპანიამ გაჩუქათ მანქანა, რა პროექტი იყო ეს?

SH. B. ეს მანქანა ბოლო 7 წელია მინდა. იმდენად ძვირი ღირდა, მე ვერასდროს ვიყიდდი. ამ კომპანიამ ისეთი პირობები შემიქმნა, რომ ეს ფაქტობრივად საჩუქარი იყო... მინდა აღვნიშნო, არცერთი ჩემი ნივთი საყვარელს არ უჩუქებია. თუ ვინმესთან ერთად ვარ, მომწონს მასთან ყოფნა, მასთან სექსი და არა მისი მანქანა, სახლი და ა.შ.

I. თქვენი საყვარელი ნაწარმოები?

SH. B. „სექსი დიდ ქალაქში" მსუბუქი და საზაფხულო საკითხავია. მუდმივად კარგ ხასიათზე მაყენებს. ძალიან მომწონს „ეშმაკს აცვია პრადა". ფილმებშიც და წიგნებშიც ერთნაირი გემოვნება მაქვს. კიდევ „ქერი ბრედშოუს დღიურები" მომწონს, აუზზე საკითხავია. მოკლედ, დღესდღეობით ქალური და რომანტიკული წიგნები უფრო მომწონს, ვიდრე მძიმე ნაწარმოებები.

I. შენი ბიოგრაფიის დაწერაზე თუ გიფიქრია?

SH. B. მე ვმუშაობ ჩემს წიგნზე, რომელსაც ხვალ და ჯერ, რა თქმა უნდა, არ გამოვუშვებ, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ ბევრ რამეს გაიგებს ხალხი ჩემზე, ჩემს სახლებსა თუ მანქანებზე. ამიტომ დაელოდეთ და იქ ყველაფერი იქნება მოთხრობილი.

PHOTO: Kate Moss and Cara Delevingne at Last in Burberry's newest campaign by Mario Testino

ნვეთი

სრულყოფილებისთვის

2014 წლის შემოდგომას მსოფლიო მოდის სახლები ახალი ტრენდებითა და კოლექციებით ხვდებიან. INTERVIEW გიამბობთ, თუ რას გვთავაზობენ ცნობილი პარფიუმერები, რა კომპოზიციებს ანიჭებენ უპირატესობას და რა არის მათი შთაგონების წყარო

ESTEE LAUDER / Modern Muse Chic

ESTEE LAUDER წარმოგიდგენთ MODERN MUSE CHIC-ს, ახალ სუნამოს თანამედროვე ქალბატონებისთვის, რომელთაც აქვთ მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალური სტილი. შეიძლება ითქვას, ეს არის პარფიუმი საკუთარი ფილოსოფიით და ეს არის ქალი – თამამი, მრავალმხრივი, არასოდეს ჩვეულებრივი და აუცილებლად შემოქმედებითი. სუნამო გახდება თქვენი იმიჯის აქცენტი, მიუხედავად იმისა, რას ატარებთ – კოქტეილის კაბას თუ ტყავის ქურთუკს. ცოცხალი ყვავილებისა და შავი ხის სურნელის მკვეთრი კონტრასტი, რომელშიც ასევე შეიგძნობა ქლიავის, დავანას, ჟასმინის, ტუბეროზას, ხავერდოვანი მუშკისა და ვანილის ნოტები. პარფიუმის ბოთლი კი უდავოდ არის ინოვაცია სუნამოების დიზაინში.

DOLCE&GABBANA
Velvet Rose

წარმოგიდგენთ Domenico Dolce-სა და Stefano Gabbana-ს ახალ სუნამოს VELVET-ის ხაზიდან. დიზაინერებმა VELVET-ი შექმნეს როგორც მოდის, ისტორიისა და მოგონებების სიმბოლო. VELVET ROSE უნიკალურია თავისი მგრძნობიარე სურნელით, რომელიც ხმელთაშუა ზღვის მზით სავსე სანაპიროების სითბოს, მონაბერ ნიავს, წყლის სიგრილეს მოგაგონებთ... ის არის დახვეწილი და ქალური, ნამდვილი ხელოვნების ნიმუში პარფიუმის ბოთლში. მაროკოული ვარდის ინტენსიობა, ბულგარული ვარდის არომატი, კალიფორნიული ვარდის სიმსუბუქე... სამი ვარდი ეგვიპტურ ჰერანიმუმთან აკორდში... მოგზაურობა ყვავილების სამყაროში არ სრულდება...

GIVENCHY / Dahlia Divin

2014 წლის სექტემბრის ახალი სურნელი, DAHLIA DIVIN-ი, აგრძელებს Dahlia Noir-ის ხაზის თემას და ფანტაზიებს. Francois Demachy-ის სუნამოს შთაგონების წყარო არის მისტიკური, ელეგანტური ქალბატონი, სექსუალური, ნაზი და ამავდროულად, სუფთა... DAHLIA DIVIN-ის ღრმა, სრულყოფილი კომპოზიციის საწყისი ნოტი მირაბელის ქლიავია, რომელსაც სამბაკის ჟასმინისა და თეთრი ყვავილების ნაზავთან მივყავართ. პარფიუმის ბაზა სანდალოზის ხე, ვეტივერი და პაჩულია. სუნამოს სახეა ამერიკელი მომღერალი Alicia Keys, რომლის მომხიბვლელობა, მაგნეტიზმი, მიმზიდველობა კარგად ასახავს GIVENCHY-ის სუნამოების არსს: მუდამ ძვირფასი, განსაკუთრებული და მოულოდნელი.

NARCISO RODRIGUES / Narciso

2014 წლის შემოდგომის ჰიტია NARCISO RODRIGUES – Narciso, რომელიც ამ სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო პარფიუმად აღიარეს. სუნამოს შემქმნელის, Aurélien Guichard-ის თქმით, მას სურდა, შეექმნა სურნელი, რომელიც ნებისმიერ მამაკაცს დააკარგვინებდა თავს. ზედმიწევნით სექსუალური, თანამედროვე კლასიკა, ვარდის, გარდენიას, ვეტივერის, ქარვისა და მუშკის მგრძნობიარე სინთეზი თავდაჯერებულობას ნებისმიერ ქალს შემატებს.

CHRISTIAN DIOR
Ambre Elixir Precieux

უნისექს სუნამო Christian Dior-ისგან, რომელიც 2014 წელს François Demachy-მ, Christian Dior-ის სახლის პარფიუმერმა, შექმნა. ოთხი ელექსირისგან შემდგარი სურნელი გაგრძნობინებთ სრულიად ახალ ემოციებსა და კონტრასტებს. სურნელოვანი ზეთების ფუძეზე დამზადებული სუნამოს წვეთი პულსაციის წერტილზე... ისე, როგორც ამას ალკოჰოლიანი სუნამოების გამოგონებამდე აკეთებდნენ. „პატივი ეცი ტრადიციებს და გაბედე იყო განსხვავებული...“ – ამბობს კრისტიან დიორი.

MARC JACOBS
Daisy Dream

2014 წლის ზაფხულში Marc Jacobs-მა ქალებს ახალი არომატი აჩუქა: გვირილები და ლურჯი ცა, სიმსუბუქე... Daisy Dream 2007 წელს გამოშვებული Daisy-ის ახალი ვარიაციაა, ოდნავ უფრო ეთერული და ნაზი... დასხმისას, პარფიუმი არის მოტკბო და ძლიერი, მაგრამ ცოტა ხანში ხდება მსუბუქი და გრილი. ჟასმინის, მუშკისა და ქოქოსის წყლის სუნი პარფიუმში ძნელად ამოსაცნობია. აღსანიშნავია ბოთლიც, რომლის დიზაინიც განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ნამდვილად იმსახურებს. Alberto Morillas-ის, Ann Gottlieb-ის და Marc Jacobs-ის ერთობლივი ნამუშევარი ქალბატონებს უფერულ დღეებშიც კი საუკეთესო განწყობას შეუქმნის.

SHISEIDO
Zen Moon Essence

მაგიური, მიმზიდველი, ინტენსიური არომატი 2014 წლის ზაფხულის ბოლოს გამოჩნდა. ბერგამოტი, ანანასი, გრეიფრუტი, ტუბეროზა, მაგნოლია და ჟასმინი მაიკლ ალმაირაკმა ერთ პარფიუმში გააერთიანა. სუნამოს შექმნისას ალმაირაკის შთაგონების წყარო იაპონური კულტურა იყო, სავსე მთვარე – არამიწიერი, ეთერული სილამაზის სიმბოლო. სურნელის ძირითადი ტონია ჟასმინის და მაგნოლიის ყვავილების ჯადოსნური კონტრასტი. მაშ ასე, Shiseido – Zen Moon Essence უკვე საქართველოშია.

BURBERRY
My Burberry

Burberry შემოდგომას ახალი პარფიუმით ხვდება. სუნამოს შექმნისას მსოფლიოში აღიარებული პარფიუმერის, Francis Kurkdjian-ის, მთავარი შთაგონების წყარო ლონდონი იყო, ქალაქის თანამედროვე სურნელი, ვიბრაცია, სიმსუბუქე და ყვავილები... ყვავილების შერჩევისას კი ის ლონდონურმა ბაღებმა შთააგონა, მათმა სიგრილემ და სურნელმა წვიმის შემდეგ. მომაჯადოვებელი, დაუვიწყარი და დამატყვევებელი არომატი ბერგამოტის, ოქროსფერი კომშის, ჰერანიუმის, მსხლის, ფრიზიისა და ვარდის ნოტებით – My Burberry უკვე ელის ქართველ მომხმარებელს.

N

Nanka Kalatozishvili

დაიბადა 1979 წლის 8 მაისს. 2000 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი, ამავე წელს გახდა რუსთაველის თეატრალური სარდაფის მსახიობი. 2007 წლიდან არის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრის მსახიობი.

ANKA

INTERVIEWS-ს სტუმარია მსახიობი ნანკა კალატოზიშვილი. ინტერვიუ გულახდილი და მრავალფეროვანი გამოდგა. ვისაუბრეთ ყველაფერზე – თეატრზე, დაშვებულ შეცდომებზე, სირთულეებზე, სიყვარულსა და ქორებზე...

შემოდგომა. ყვითელი, გახუნებული, თბილი და ლამაზი. სექტემბერი ჩემი საყვარელი თვეა, ფერებსაც ვგულისხმობ და ამინდსაც.

ყველაზე რთული დღე. მშობიარობა. ასეთი რთული თუ იქნებოდა, ნამდვილად არ მეგონა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ფილმებში გაზვიადებულად იყო ნაჩვენები პროცესი. განსაკუთრებით მძიმე იმიტომაც იყო, რომ 19 საათი ვაჩენდი.

როლის შერჩევა. როლს მე არ ვარჩევ, რეჟისორები თავად მთავაზობენ, ამ მხრივ თეატრში ძალიან გამიმართლა.ფილმის როლებით განებივრებული არ ვარ. თეატრის რეჟისორები კი, როგორც ჩანს, კარგად მიცნობენ და შესაბამისად - ძალიან საინტერესო როლებს მთავაზობენ. ფილმის შემთხვევაში უნდა იყოს საინტერესო სცენარი, საინტერესო რეჟისორი, უნდა ვსაუბრობდეთ ერთ ენაზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რომ ვთქვა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰონორარს აქვს-მეთქი, არ ვიქნები მართალი, საქართველოში უჰონორაროდაც ბევრჯერ დავთანხმებულვარ ფილმზე, საინტერესო სცენარის ხარჯზე.

გამოცდილება. ჯერ კიდევ ბევრი მაქვს მისაღები. ვერ ვიტყვი, რომ უკვე დასრულებულია გამოცდილების მიღების პროცესი. ვფიქრობ, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ მიუხედავად ნეგატიური მოვლენებისა, არ ვიცვლები და არ ვბოროტდები. ალბათ სწორედ გამოცდილება მეხმარება ამ ყველაფრის გაფილტვრაში.

ჰოლივუდი. ჰოლივუდი დიდებასთან ასოცირდება, მაგრამ მე კანი მირჩევნია. >

ახალი თაობა. ძალიან კარგი ახალი თაობა მოდის, თეატრალურ სფეროშიც და ზოგადად. ვიზუალურადაც გამორჩეულები არიან და იმედი მაქვს, სწავლაზე ორიენტირებულებიც იქნებიან. 90-იანი წლების თაობა მაინც სხვაა; მაშინ ნაკლებად კეთდებოდა აქცენტი სწავლაზე, არ იყო გათბობა და ელემენტარული პირობები სრულფასოვანი განათლების მისაღებად.

ფემინიზმი. ფემინიზმი ნაკლებად მესმის და მხიბლავს. ქალს, ერთი მხრივ, სურს თავი ქალად იგრძნოს და მეორე მხრივ, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კაცმა ის ქალად ვეღარ აღიქვას. ემანსიპირებული ქალების მეტად მესმის, ვიდრე ფემინისტების. რადიკალიზმი ზოგადად არ მომწონს არაფერში.

თეატრი. თეატრი არის ჩემთვის ყველაფერი. ჰაერი: სუნთქვა, ცხოვრება, პულსი, არტერია ერთი სიტყვით, ყელაფერი. თეატრს ვერაფერი შემიცვლის.

გლამური. გლამური და მე ძალიან შორს ვართ ერთმანეთისგან.

ნოსტალგია. ზოგადადად, არ მიყვარს მოგონებები, არც ცუდი და არც კარგი. უარყოფითი ეპიზოდები წარსულიდან ავტომატურად ცუდ ხასიათზე მაყენებს და კარგიც, რატომღაც, მიფუჭებს ხასიათს. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობ, არ გადავხედო წარსულს.

წარმატება. წარმატება ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, როდესაც გიყვარს შენი პროფესია, მას მთელ შენს ცხოვრებას უძღვნი და შედეგად წარმატებასაც აღწევ. ეს იდეალურია. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ არაფერია მუდმივი, ამიტომ ამ წარმატებამ თავბრუ არ უნდა დაგვახვიოს.

ჭორები. განწყობაც არ მაქვს ჭორების მიმართ. ჭორი არის მტვერი, რომელიც სულ იქნება. კარგი ისაა, რომ მარტივად შეიძლება გადაწმენდა. გადაწმენდ და მორჩა. საერთოდ არ მაინტერესებს ეს საკითხი.

დედობა. ეს ყოფილა ყველაზე სასწაული შეგრძნება, გალაქტიკის დედა მგონია თავი. ძალიან გამაძლიერა დედობამ და ამ შეგრძნების ბოლომდე ახსნაც მიჭირს. გავძლიერდი და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ შეუძლებელსაც შევძლებ.

რჩევა დამწყებ მსახიობებს. ზოგადად, ვისაც არ აქვს შეხება სამსახიობო კარიერასთან, რატომღაც ჩვენს სფეროს გართობად აღიქვამს. ფილმის პროდიუსერიც კი, ხშირ შემთხვევაში, ფიქრობს, რომ შენ, მსახიობი, ისე გიხარია ეკრანზე გამოჩენა, რომ დანარჩენი ყველაფერი სულერთია. საქართველოში ხელოვანი ადამიანი >

ᲕᲝᲚᲘᲕᲣᲚᲘ დიდებასთან ასოცირდება, მაგრამ მე ᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ

საქართველოში ხელოვანი ადამიანი ინთუზიაზმზე

გინდა-არ გინდა, მაინც მუშაობს

გინდა-არ გინდა, მაინც ენთუზიაზმზე მუშაობს და ამას შენი საქმისადმი ძალიან დიდი სიყვარულის გარეშე უბრალოდ ვერ შეძლებ. უნდა დაიხარჯო ბოლომდე. ყველაზე მეტად რაც არ მიყვარს, არის ნახევარტონები. ან აკეთებ კარგად, ან ნუ აკეთებ. ხელოვნებაში არ უნდა წახვიდე კომპრომისებზე. თუ სათქმელი გაქვს, უნდა თქვა, თუ აკეთებ უნდა გააკეთო.

თბილისი. ძალიან მიყვარს თბილისი! ულამაზესია! მაგრამ ხალხია ცოტა ქალაქთან შეუფერებელი. არ უვლიან თავიანთ ქალაქს, ხეებს ჩეხავენ, აგრესიულები არიან ერთმანეთის მიმართ. ეს ქალაქი, ჩემი აზრით, სიყვარულისთვის არის შექმნილი და როგორ იტევს ამდენ აგრესიას, ვერ ვხვდები.

სიყვარული. სიყვარულის ახსნა ძალიან რთულია. ალბათ ქმედებებით, საქციელით და ყურადღებით უნდა ვიგრძნო, რომ ვუყვარვარ ადამიანს. ძალიან ძლიერი მამოძრავებელი ძალაა.

წიგნი. იაპონელი მწერლები მომწონს, ძალიან ახლოს არიან ჩემთან. საერთოდ ინტერნეტით ვერ ვკითხულობ, თვითონ წიგნთან შეხება მომწონს.

კინო. სხვადასხვა ჟანრის ფილმები მომწონს, ძალიან მიყვარს კიმ კი დუკის, პედრო ალმადოვარის ფილმები, რომლებიც დასრულების შემდეგ დიდი ხნით რჩება ჩემში, მაფიქრებს... ასევე ძალიან მომწონს ლარს ფონ ტრიერის ფილმები, შემიძლია რამდენიმეჯერ ვუყურო ზედიზედ და ახალ-ახალი რაღაცები აღმოვაჩინო.

შესრულებული როლი, რომელსაც ნანობ. კი არის ასეთი როლები, უბრალოდ რეჟისორების სახელებს და გვარებს არ დავასახელებ, არ მიყვარს ადამიანების წყენინება. მაგრამ, რა თქმა უნდა, სია მაქვს. მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს: ხან პატარა ხარ, ხან მეგობარია რეჟისორი, ხან ვინმეს ახლობელი. იმავეს ვერ ვიტყვი თეატრზე, არცერთ სპექტაკლს არ ვნანობ, რომც არ გამოსულიყო საბოლოო შედეგი, იმდენად მომწონს რეპეტიციების პროცესი რომ...

მეგობრობა. მეგობრობაზე მაგარი მე მგონი, არაფერია. მყავს შეძენილი და ბავშვობის მეგობრები, ძალიან ცოტაა ისეთი, ვისაც ნამდვილად ჩემიანად მივიჩნევ და ვისაც თვალდახუჭული ვენდობი.

თბილისის გარდა სად იცხოვრებდი. ბარსელონაში. ჩემი საყვარელი ქალაქია. ერთადერთი ქალაქი, სადაც სახლში ვიგრძენი თავი, აბსოლუტურად არ მქონდა იმის შეგძნება, რომ სტუმარი ვიყავი.

რას ეტყოდი მაყურებელს. გიყვარდეთ ერთმანეთი.

ნიკა გომართელი

მიყვარს შემოდგომა...

როცა სიფრიფანა სარაფანში სუსხი შემოაღწევს, მაშინ ვხვდებით, რომ ზაფხული დამთავრდა და ჩვენს ცხოვრებაში შემოდგომა შემოიჭრა. მიუხედავად იმისა, რომ წელიწადის ყველაზე მოულოდნელი, მრავალფეროვანი, ისტორიებით სავსე დრო ხელში სილასავით ჩამოილია, არსებობს უამრავი მიზეზი, იმისა, თუ რატომ გვიყვარს შემოდგომა. ჩვენ სწორედ მათ შესახებ გიამბობთ.

PHOTO: Maryna Linchuk for Monsoon

ყვითელი ფოთლები

შემოდგომით ქუჩაში სეირნობა ყველაზე სასიამოვნოა. მიაბიჯებ ქურთუკში ხელებჩაწყობილი, ნელი ნაბიჯით, ტკბები გაწითლებულ-გაყვითლებული ხეების პეიზაჟით და ფეხქვეშ გამხმარ ფოთლებს გრძნობ. ზაფხულის მერე ცხოვრების ტემპი თითქოს შენელდა, სწრაფი სიარულიდან - სეირნობისაკენ. ყურსასმენებში კი გესმის - ყვითელი ფოთლები...

მიზეზი ახალი ქურთუკის ან პაშნეს შესაძენად

შემოდგომა რაღაც ახლის საწყისია, ახალი სასწავლო წლის, ახალი სამუშაო წლის, ახალი გადაწყვეტილებების, შესაბამისად, ყოველთვის გვჭირდება რაღაც ახალი - ერთგვარი წახალისება. შესანიშნავი მიზეზია იმისათვის, რომ დასვენებულებმა და გარუჯულებმა ქალების

> შემოდგომა – ეს მეორე გაზაფხულია, როდესაც ყოველი ფოთოლი ყვავილია.
>
> ალბერ კამიუ

ერთ-ერთ საყვარელ საქმიანობას - შოპინგს მივმართოთ. შევიძინოთ ახალი ქურთუკი, პალტო ან თუნდაც კაშნე, იმისათვის, რომ უფრო კომფორტულად და მყუდროდ ვიგრძნოთ თავი მოახლოებულ სიცივეში.



რომანტიკული გასეირნება და ქოლგა

შემოდგომას და რომანტიკას რომ ბევრი რამ აკავშირებთ ეს ყველამ ვიცით. წელიწადის ეს დრო საშუალებას გვაძლევს, ჩვენს რჩეულთან ერთად ბევრი ვისეირნოთ ისე, რომ არც სიცხემ შეგვაწუხოს და არც სიცივემ. წვიმა? წვიმა არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა, რომ საგულდაგულოდ შენახულ ჭრელ ქოლგას მტვერი ჩამოვბერტყოთ და მის ქვეშ უფრო ახლოს აღმოვჩნდეთ ჩვენს მეწყვილესთან. >

მიზეზი, „მის“ პიჯაკში აღმოჩენისათვის

ალბათ ყველა ჩვენგანს უნახავს რომანტიკული ფილმები, რომელთა ერთ-ერთ სცენაშიც, გრილ საღამოს შილიფად ჩაცმულ ქალბატონს შესცივდება და მისი რჩეული თავის პიჯაკს მხრებზე მოახურებს. შემოდგომა სწორედ ის დროა, რომელიც ფილმში ნანახის და შემდეგ ნაოცნებარის ახდენის შესაძლებლობას იძლევა. გამოიყენეთ შანსი, რომელსაც წელიწადის ესოდენ რომანტიკული დრო გვთავაზობს.

სასიამოვნო საღამოები ბუხართან

ზაფხულში მიმოფანტული მეგობრები შემოდგომაზე კვლავ ერთად ვიკრიბებით, შესაბამისად, გვაქვს ბევრი მოსაყოლი ისტორია, გასაზიარებელი შთაბეჭდილება, მისაცემი რჩევა და ა.შ. მეგობრებთან ყოფნის სიმყუდროვეს კი არაჩვეულებრივად ერწყმის ბუხარი, რომლის ანთების უფლებასაც გრილი საღამოები გვაძლევს. საუბარს ძალიან უხდება ბუხარში შემწვარი მწვადი ან ზეფირი - სურვილისამებრ.

ცხელი შოკოლადი (ყავა) და პლედი

ცხელი შოკოლადი (ყავა) და პლედი ალბათ ბევრი ჩვენგანისთვის შემოდგომის განუყოფელი ნაწილია, ეს ატრიბუტები ყველგან თან გვდევს - წიგნის კითხვისას, ოჯახის წევრებთან ერთად ტელევიზორის ყურებისას, მეგობრებთან, აგარაკზე, თითქმის ყველა კაფესა თუ რესტორანში.

გემრიელი და სასარგებლო სეზონური ხილი

ცხელი შოკოლადის შემდეგ გავაგრძელოთ გემრიელი მიზეზების ჩამოთვლა, თუ რატომ გვიყვარს შემოდგომა. არ უნდა დაგვავიწყდეს ხილი, რომლის ჭამის საშუალებაც წელიწადის მხოლოდ ამ დროს გვაქვს. ქალაქის ყოველ კუთხეში შეგვიძლია შევიძინოთ ახალი: ვაშლი, მსხალი და ყურძენი.

ვაშლის ღვეზელი

გააერთიანეთ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი რამდენიმე მიზეზი, დაპატიჟეთ მეგობრები ზაფხულის ისტორიების მოსაყოლად, მოიმარაგეთ პლედები, გამოიყენეთ სეზონური ხილი და გამოაცხვეთ უგემრიელესი ვაშლის ღვეზელი. თუ აქამდე არ გიცდიათ, აუცილებლად სცადეთ, რადგან ეს სწორედ ის მიზეზი გახდება, რის გამოც მოუთმენლად დაელოდებით შემოდგომის დადგომას. რეცეპტი ჰკითხეთ ბებოს ან ინტერნეტს.

ჰელოუინი

ეს დღესასწაული გვაძლევს შესაძლებლობას, გამოვეწყოთ კოსტიუმში და ქალაქში ტკბილეული შევაგროვოთ. არ გაიკვირვოთ, რადგან შეერთებული შტატების მსგავსად, ჰელოუინს უკვე თბილისშიც აღნიშნავენ. ეს გემრიელი და მხიარული დღესასწაული ნამდვილად გვაძლევს მიზეზს, რომ შემოდგომა გვიყვარდეს.

გლინტვეინი, პუნში, ყავა ბეილისით

მმმ... კარგი ჩამონათვალია. გლინტვეინი, პუნში და ყავა ბეილისით შემოდგომის გრილი საღამოების ნამდვილად კარგი კომპანიონები არიან. თუ ქუჩაში სეირნობისას ამინდმა შეგაშინათ, გირჩევთ, კაფეს შეაფაროთ თავი და დატკბეთ მაგიური ცხელი სასმელით, რომელსაც თბილისში უკვე ყველა კაფე გვთავაზობს.

ახალი წლის მოლოდინი

და ბოლო მიზეზი, თუ რატომ გვიყვარს შემოდგომა. ის ხომ ახალ წელთან, ახალ სურვილებთან, დასვენებასთან, დღესასწაულებთან და საახალწლოდ შეძენილ ახალ კაბასთან გვაახლოებს.

ყვითელი ფოთლები, ახალი კაშნე, ცხელი შოკოლადი თუ ყავა ბეილისით, რომანტიკული გასეირნებები ჭრელი ქოლგის ქვეშ, ეს იყო მცირე ჩამონათვალი იმ მიზეზთაგან, თუ რატომ გვიხარია შემოდგომა. დაამატეთ თქვენიც, გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა, მცირე დეტალები, რომ გაიხალისოთ ცხოვრება და დატკბეთ მისით.

მარიამ პატატიშვილი

GLÜHWEIN
გლინტვეინი

საჭირო მასალა:
750 მლ წითელი მშრალი ღვინო, 1 ტოტი დარიჩინი; 10-12 ცალი მიხაკი, 5 ცალი ბაჰარის მარცვალი, 4-3 სუფრის კოვზი შაქარი ან თაფლი, 2-3 ლიმონის ან ფორთოხლის ნაჭერი.

მომზადების წესი:
მოვათავსოთ ქვაბში ლიმონი/ ფორთოხალი, დარიჩინი, ბაჰარის მარცვალი და მიხაკი, დავასხათ 2/3 ჭიქა წყალი და ვადუღოთ 5 წუთი. ცალკე გავათბოთ ღვინო (*არ უნდა წამოდუღდეს – ეს მთავარი პირობაა*) და დავუმატოთ ის სანელებლებიან წყალს, დავდგათ ქვაბი დაბალ ცეცხლზე და გავაჩეროთ წამოდუღებამდე. გადმოვდგათ ქვაბი, გავწუროთ ღვინო და დავუმატოთ შაქარი/თაფლი (*გემოვნებით*).

Keti
ADEISHVILI

დიდი გასეირნება მინი-ქალაქში...

ანუ ერთი მშვენიერი დღე

შესავლის მაგივრად

ქალაქს, რომელშიც წლებია, ცხოვრობ, წესით, უნდა იცნობდე კიდეც. ქალაქი, რომელშიც ცხოვრობ და მუშაობ, რუტინის უბრალო დამატება ხდება წლების განმავლობაში. ადგილი, სადაც ცხოვრობ, მუშაობ და ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სეირნობ კიდეც – ველარაფრით გაკვირვებს.

სწორედ ამიტომ, ზოგჯერ სასიცოცხლოდ აუცილებელია იმ სიახლეებით და ცვლილებებით დაინტერესდე, რაც აქ და ახლა ხდება. მით უფრო, როდესაც საქმე რაღაც მასშტაბურ, გრანდიოზულ, უჩვეულო სიახლეს და ცვლილებას ეხება... მაგალითად, ისეთს, როგორიცაა – 40 ჰექტარზე გაშენებული ახალი საცხოვრებელი რაიონი, სადაც ყველაფერი ერთ სივრცეშია მოქცეული. ფაქტობრივად - ქალაქი ქალაქში ან – მინიქალაქი, ან – იდეალური საცხოვრებელი ქალაქის ერთგვარი მოდელი.

ვიდევ ეპითეტები

„ცხოვრების ახალი სტილი", ხარისხიანი გარემო", „ერთიანი ურბანული სივრცე" – ყველა ეს ეპითეტი ახალი საცხოვრებელი უბნის, დირსის შესახებ პირველი შთაბეჭდილების შესაქმნელადაა ზედგამოჭრილი. მაგრამ სიტყვები ერთია, საკუთარი თვალით ამ ყველაფრის ხილვა და სიტყვების ჭეშმარიტებაში პირადად დარწმუნება – მეორე. მით უფრო, რომ კითხვები ამ გრანდიოზულ სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრია, საზოგადოების ინტერესი – არანაკლები. ჰოდა, ერთ მშვენიერ (სიტყვის პირდაპირი მნიშნელობით) დღეს დირსის უბანს ვეწვიეთ და ამ მინი-ქალაქში გასეირნება გადავწყვიტეთ. მშენებლობის პირველი ეტაპი აქ უკვე დასასრულს უახლოვდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, პერიმეტრი უზარმაზარ მოფუსფუსე სკას ჰგავს – ყველგან გამალებული სამუშაოებია – როგორც აგვიხსნეს, დათქმულ ვადებში ჩატევა და დანაპირების შესრულება კომპანიისთვის პრიორიტეტული ღირებულებაა, ამიტომ გარე მოსაპირკეთებელი და გამწვანების სამუშაოები აქ თითქმის უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. რამდენიმე კორპუსი უკვე დასრულებული სახითაა წარმოდგენილი, ნარგავებიც ნელ-ნელა იდგამენ ფესვებს ახალ გარემოში. თითქმის ყველაფერია მზად იმისთვის, რომ ნოემბერში უკვე გადმობარგებულ მობინადრეებს ახალი საცხოვრებელი სრულყოფილად ჩაბარდეს... „არადა, პროექტის სტარტიდან ამ დრომდე ჯერ მხოლოდ 2 წელია გასული," – გვიყვება „ეი ეს გრუპ ინვესტმენტის" შვილობილი კომპანიის „ას ჯორჯიას" მარკეტინგისა და გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი – ქეთი ადეიშვილი. „საინვესტიციო კომპანია „ეი ეს გრუპ ინვესტმენტი" საქართველოში 2011 წლიდან შემოვიდა და 2012-ში დაიწყო საყოფაცხოვრებო კომპლექსის, დირსის მშენებლობა. აი, გავივლით, დავათვალიერებთ და თავად დარწმუნდებით, რომ >

დირსიში

დეტალების ხელოვნება

აქ ყველაფერი მართლაც დეტალებშია გათვლილი. მთელი კომპლექსი ისეა დაგეგმილი და განლაგებული, რომ მისი მობინადრეები უზრუნველყოფილნი იყვნენ ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოთი, სუფთა ჰაერით, სივრცითა და ინსოლაციით. ამას კორპუსებს შორის 30 მეტრიანი დაშორება და საკუთრივ ბინების დაგეგმარება განაპირობებს. რაც შეეხება უსაფრთხოებას, მშენებლობის ხარისხს და სტაბილურობას – ეს ყველაფერი დირსის ძირითადი პრიორიტეტებია. სამშენებლო მასალების და მშენებლობის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ აქაურები გარანტირებულად უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს. კორპუსები 9-ბალიანი მიწისძვრის სეისმომდეგობის გათვლითაა აგებული.

პირველი ეტაპის მშენებლობა, როგორც იყო კიდეც დაპირებული, ფინიშს მიუახლოვდა... პირველ ეტაპზე ჩაბარდება 11 საცხოვრებელი კორპუსი, საბავშვო ბაღი, ბულვარის მონაკვეთი და ინფრასტრუქტურული ობიექტები. საცხოვრებლად მზადდება 2614 ბინა. ამჟამად მიმდინარეობს შიდა სარემონტო სამუშაოები. ბინები ჩვენთან დასრულებული რემონტით ბარდება და მაცხოვრებლები გარანტირებულად დაცული იქნებიან იმ ხმაურისა და დისკომფორტისგან, რასაც „მეზობლად მიმდინარე რემონტი“ ჰქვია!“

პეიზაჟი

პირველი, რაც ქალაქის ხმაურიანი ცენტრიდან 7 წუთის სავალზე მდებარე დირსიში მოხვდა ჩვენი თვალთახედვის არეში – არაჩვეულებრივი პეიზაჟი და სივრცე იყო. ხედებით, ეკოლოგიური მდგომარეობით, რაიონის გეოგრაფიული და მიკროკლიმატური თავისებურებებით აქ განსაკუთრებით ამაყობენ. ის, რაც ვიხილეთ, ნამდვილად აჭარბებს მოლოდინს – მტკვრის გასწვრივ 3 კილომეტრზე გაჭრილი ბულვარი, ათასამდე ბუჩქოვანი ტუია, ასეულობით ნეკერჩხალი, ნაძვი, მუხა, სხვა ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეები, რომლებიც სულ ცოტა ხანში გაახალისებენ და გააჯანსაღებენ მთელს პერიმეტრს – საოცარი სანახაობაა. ათვალიერებ ამ ყველაფერს, უყურებ უკვე შექმნილს, წარმოიდგენ იმას, რაც ჯერ კიდევ გასაკეთებელია და ხვდები – ეს ადგილი იდეალურია ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევრებისთვის, ბავშვების სუფთა ჰაერზე გამოსაყვანად, დილის გარბენებისთვის. ეს ისაა, რის გამოც ნამდვილად ღირს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, რადგან სახლის სიახლოვეს ამხელა გამწვანებული სივრცე თანამედროვე ურბანული გარემოს პირობებში ნამდვილი ფუფუნებაა.

იდეიდან-ობიექტამდე

იდეალური საცხოვრებელი ქალაქების აშენების იდეა კაცობრიობას უხსოვარი დროიდან აქვს. ორის დასახელება საერთო სურათის წარმოასაჩენად სავსებით საკმარისია – პლატონის „სახელმწიფო“ და თომას მორის „ქალაქი-უტოპია“ ის ტექსტებია, სადაც მოაზროვნე ადამიანები ამგვარი დასახლებების სიტყვიერ მოდელს გვთავაზობენ. ცდილობენ სრულყოფილი საცხოვრებელი პირობები სრულყოფილ გარემო პირობებს შეუთავსონ. იმაზე მსჯელობენ, რა და როგორ მოაწყონ ამ ქალაქებში, რომ იქ მაცხოვრებელი ადამიანებისთვის ცხოვრება მშვენიერი, უსაფრთხო, მშვიდი და საინტერესო იყოს. თანამედროვე სამყარო უკვე რეალურ ქმედით ნაბიჯებს ითხოვს და ადამიანებიც ისეთ პროექტებს ახორციელებენ, სადაც იდეა და სიტყვა საქმედ იქცევა.

დღესდღეობით მსოფლიოს დეველოპერები და არქიტექტორები თანმიმდევრულად გადავიდნენ წერტილოვანი მშენებლობებიდან მასშტაბური პროექტების რეალიზებაზე და დირსი ამის თვალსაჩინო მაგალითია. როგორი წარმოგვიდგენია დღეს იდეალური საცხოვრებელი გარემო? პასუხი მარტივია – ისეთი, სადაც ერთ პერიმეტრშია მოქცეული საცხოვრებელი კორპუსი, სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტები – სკოლები, ბაღები, სავაჭრო-გასართობი ცენტრი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები, კეთილმოწყობილი ეზოები, საბავშვო-სათამაშო მოედნები, კომერციული დანიშნულების მქონე სხვადასხვა ფართი (თანაც – ხელის ერთ გაწვდენაზე).

ერთი სიტყვით, ყველაფერი იმისთვის, რომ მაცხოვრებელს, ფაქტობრივად, არ მოუწიოს საცხოვრებელი უბნის დატოვება ყოველდღიური საჭიროებებისთვის.

ისტორიული ექსკურსი

ამ გრანდიოზული პროექტისთვის თბილისის ისტორიული უბანი, დირსიჭალა შემთხვევით არ შერჩეულა. დირსიჭალა ძველ თბილისში ისეთივე განთქმული იყო ბაღებითა და სასეირნო ადგილებით (ახლა რომ რეკრეაციულ ზონებს უწოდებენ) როგორც ორთაჭალის ბაღები. ამ ადგილს მართლაც აქვს თავისი განუმეორებელი ხიბლი და როგორც უკვე ითქვა, მდებარეობითაც გამორჩეულია – მდინარის პირი, ხევი და ჭალა, რომელიც მუდმივად „ნიავდება" მსუბუქი ქარით, ქალაქისთვის უჩვეულო სუფთა ეკოლოგიურ მიკროკლიმატს ქმნის. მოგვიანებით ამ მშვენიერმა ადგილმა დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება და საბჭოთა პერიოდში სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელად იქცა. როდესაც სამშენებლო კომპანიის მენეჯმენტმა შეისწავლა ეს ადგილი და მისი ეკოლოგიური მდგომარეობა (გაკეთდა ნიადაგის, ჰაერის, წყლის სინჯების დეტალური ანალიზი), გაირკვა, რომ ტოქსიკური და ჯანმრთელობისთვის საშიში ან საცხოვრებლად უვარგისი აღნიშნული ტერიტორია არ არის. მიუხედავად ამისა, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ნიადაგიდან ამოიჭრა 11 მეტრამდე მიწა, დაიყარა ახალი, ტერიტორია მთლიანად გასუფთავდა, კიდევ ერთხელ შემოწმდა და შეიქმნა ყველა პირობა იმისთვის, რომ დაწყებულიყო კორპუსების მშენებლობა. ამჟამად 26 სართულის გარდა კორპუსებს 2-3 სართულიანი სარდაფები აქვს. ეს დამატებით განაპირობებს კორპუსის სიმყარესაც. საბოლოოდ ტერიტორიას პირვანდელი ფუნქციაც დაუბრუნდა და კიდევ უფრო ფუნქციური და სრულყოფილი სახით დაუბრუნდა ქალაქს.

სიახლეები და სიურპრიზები

კომპლექსის გახსნისთვის კომპანია უამრავ სიურპრიზს უმზადებს მაცხოვრებლებს და სტუმრებს. სიურპრიზი იმის სიურპრიზია, რომ მოულოდნელი დარჩეს, ამიტომ ამაზე აღარ შევჩერდებით.

დასასრულს, იმ სიახლეებს გაგაცნობთ, რაც ადგილობრივ სამომხარებლო ბაზარს ახალი პროდუქტების სახით ელის – დირსიში დასრულებული ბინების ყიდვის >

სიახლეები

ტერიტორია დატვირთული იქნება კომერციული ფართებით. ქალაქს მუდმივად სჭირდება სავაჭრო ცენტრები, შემეცნებითი და გასართობი დაწესებულებები. ამ ფუნქციას დირსიში მოლი ღია ცის ქვეშ შეითავსებს. უჩვეულო ისაა, რომ მოლი ბულვარის ერთგვარი გაგრძელება იქნება. ასეთი რამ საქართველოში სიახლეა და სავსებით შესაძლებელია, მომავალში ეს მშვენიერი არქიტექტურული ნაგებობა ერთგვარ სავიზიტო ბარათადაც იქცეს ქალაქისთვის.

და გაქირავების ადმინისტრაციული ოფისი კლიენტებს შეძენილი ბინის სურვილის შემთხვევაში გაქირავებას და სრულ მომსახურებას სთავაზობს. ბინა მნიშვნელოვანი ინვესტიციაა და ეს ყველას ესმის, თუმცა იმ წვრილმანების მოგვარება, რაც ამ ინვესტირებული თანხის ამოსაღებადაა ხოლმე საჭირო, არცთუ სასიამოვნო პროცესია. აქ კი – უკავშირდები ოფისს, უხსნი სასურველ პირობებს და – ივიწყებ ყოველთვიურ წვრილმან პრობლემებს.

საინტერესო დღის საინტერესო დასასრული

დირსი-ვოიაჟი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც სამშენებლო ფუსფუსისაგან განსხვავებული სანახაობის მომსწრეებიც გავხდით... როგორც ჩვენმა „გიდმა“ და მეგზურმა, ქეთიმ აგვიხსნა, დირსის ტერიტორია საკმაოდ ხშირად ექცევა რეჟისორების ყურადღების ცენტრში. აქაურობას სხვადასხვა პეიზაჟის, ანტურაჟის და გარემოს შესაქმნელად ხშირად სტუმრობენ გადასაღები ჯგუფები, რადგან ატმოსფერო პერიმეტრში მართლაც განსაკუთრებულია... ამჯერად დირსით რეჟისორი – გიორგი კიკალიშვილი (იგივე კიკალა) დაინტერესდა და აქაურობა „გადასაღებ პავილიონად“ აქცია. „გაიზიარე ჩვენი მუსიკა“ – ამ სახელწოდების გადაცემა „რუსთავი 2-სა“ და ახალ არხზე – „მარაო“ – კვირაში ერთხელ გავა, პირველი გადაცემის ჩასაწერად კი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეები სწორედ დირსის სამშენებლო მოედანზე შეიკრიბნენ. ინტერესით დაველოდები გადაცემის ჩანაწერს, სიამოვნებით ვნახავ ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობ კადრებს და კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე აზრობრივად, გადავბარგდები დირსის უბანში. ■

ნინო ლომიძე

“primeclass” CIP სამსახური
თქვენი პირადი
დამხმარე აეროპორტში

ექსკლუზიური მომსახურება
ჩამოსვლისას
თუ გამგზავრებისას

მებარგულის
მომსახურება

პირადი ასისტენტი
უსაფრთხოების კონტროლის
გავლისას

პირადად თქვენთვის
განკუთვნილი მოსასვენებელი
დარბაზები

TAV
primeclass

თბილისი : +995 322 310 330
ბათუმი : +995 422 235 111
www.primeclass.com.tr
TAV Georgia Operation Services L.L.C.

ქალი მეტრევველი

ტატუნა ნიკოლაიშვილი

მეგობრობა 15 წლის ასაკში დაიწყეს. ერთმანეთი სკოლასთან ზუსტად მაშინ გაიცნეს, როდესაც ტატუნა დიზაინერობას იწყებდა. 53-ე სკოლის წინ სამკერვალო გახსნა და პირველი ქვედაბოლო, პიჯაკთან ერთად, მეგობრისთვის შეკერა. ე.წ „პრიმერკის“ დროს გოგოებმა აღმოაჩინეს, რომ მეგობრების გარდა ნათესავებიც არიან. მაკოს გარდერობში 80%-ს ტატუნას შეკერილი ტანისამოსი და ფეხსაცმელი წარმოადგენს. უერთმანეთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. მათთვის ყოველი დილა ფინჯანი ყავით და მეგობრობით იწყება. INTERVIEW-ს სტუმრები არიან დიზაინერი ტატუნა ნიკოლაიშვილი და კომპანია BEELINE-ის პიარ-სპეციალისტი მაკო მეტრეველი.

Tatuna NIKOLAISHVILI

TATUNA NIKOLAISHVILI. მაკო, როგორი გინდა რომ იყოს შენი ხვალინდელი დღე?
MAKO METREVELI. ჩემი ხვალინდელი დღე მინდა იყოს ბევრი ენერგიით, სიხარულით და ენდორფინით სავსე.

T. N. რის გარეშე ვერ წარმოგიდგენია შენი ცხოვრება?
M. M. ვერ წარმომიდგენია ოდესმე მობილური ტელეფონის გარეშე ჩემი არსებობა და ქალაქში გადაადგილება.

T. N. 17 წლის რომ იყო, შეიცვლიდი თუ არა პროფესიას?
M. M. პროფესია უკვე შევიცვალე. დავამთავრე ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. მივიღე ძალიან კარგი ზოგადი განათლება. თუმცამ, მოგვიანებით, გადავწყვიტე შემეცვალა პროფესია და მაგისტრატურაში სულ სხვა მიმართულებით ჩავაბარე. დღეს სტრატეგიული კომუნიკაციის სპეციალისტი ვარ. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი პროფესიით და აქტიურად ვმუშაობ ამ მიმართულებით.

T. N. რა არის შენთვის ბედნიერება?
M. M. ჩემთვის ბედნიერება ჩემი შვილები არიან.

T. N. შენი აზრით, როგორი ვიქნები 30 წლის შემდეგ?
M. M. ვფიქრობ, რომ ისეთივე ენერგიული, ლამაზი და ცეცხლოვანი იქნები, როგორიც დღეს ხარ.

T. N. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, რას ურჩევდი ქართველ ქალებს რომ არ მოხდეს ძალადობა მათზე?
M. M. ჩემი აზრით, ქალებმა უნდა აიმაღლონ ხმა. ჩვენ ერთად უნდა ვებრძოლოთ ქალთა მიმართ ძალადობას და გამოვიჩინოთ სოლიდარობა მათ მიმართ. აუცილებელია დავამტკიცოთ, რომ ჩვენ ძლიერები ვართ და მხოლოდ ფიზიკური სიძლიერე არ არის მთავარი.

MAKO METREVELI. **ტატუნა რის გარეშე არ გამოდიხარ სახლიდან არასდროს?**
TATUNA NIKOLAISHVILI. ბოლო პერიოდში არ გამოვდივარ ჩემი დღიურის გარეშე, სადაც ყოველი დღის განრიგი მაქვს ჩანიშნული.

M. M. **შენი საყვარელი კლიენტი?**
T. N. რა თქმა უნდა – მაკო მეტრეველი.

M. M. **ყველაზე ძალიან რისი შეკერვა გიყვარს?**
T. N. ასე, კონკრეტულად არ მახსენდება. ვკერავ ყველაფერს და ჩემი შექმნილი ბრენდი „ტატუნა ნიკოლაიშვილი" ჩემთვის ძვირფასია.

M. M. **საყვარელი გამონათქვამი თუ გაქვს, რომელსაც ხშირად იყენებ?**
T. N. კი მაქვს - რას გარბიხარ უკომპასო გემივით.

M. M. **ტატუნა, ყველაზე კარგი დღე, რომელიც გახსენდება?**
T. N. ჩემი ბავშვების დაბადება.

M. M. **ყველაზე დასამახსოვრებელი და მხიარული მოგზაურობა?**
T. N. მოგზაურობა ძალიან მიყვარს. მახსენდება მეგობრებთან ერთად გატარებული დრო სტამბულში, სადაც შევიძინე ქსოვილები. ვიყიდე პატარა ჩემოდანი, ლამაზად ჩავალაგე ნაჭრები და აეროპორტში ბორბლები ისეთ ხმას გამოსცემდა, რომ ყველა ჩვენ გვიყურებდა. სახალისო ისტორიაა, ყოველთვის კარგად მახსენდება.

M. M. **მაინტერესებს, როდის მოგდის თავში ის, რასაც კერავ?**
T. N. ბევრი იდეა მომდის, განსაკუთრებული გარემო ამისთვის არ მჭირდება. შეიძლება მანქანაში, მეგობრების წრეში, მთავარი არის ის, რომ იდეის განხორციელების საშუალება სწორედ ჩემს სახელოსნოში მაქვს. ეს არის ადგილი, სადაც მშვიდად შემიძლია დავჯდე და ვიმუშაო.

M. M. **ტატუნა, ჩემ გარეშე თუ წარმოგიდგენია ცხოვრება?**
T. N. მაკო, შენ გარეშე ცხოვრება ნამდვილად ვერ წარმომიდგენია. მიხარია, რომ 15 წლიდან ვმეგობრობთ და ეს ურთიერთობა, წლებთან ერთად, უფრო დასაფასებელია.

Mako METREVELI



ლუკა ელოშვილი

LUKA ELOSHVILI

I. **რამდენი წლის ხარ?**
BEARD. 5 წლის.

I. **რას საქმიანობს შენი მფლობელი?**
B. ჩემი მფლობელი არის ველოსპორტსმენი, არქიტექტორი და გართობის მოყვარული.

I. **განტვირთვის საუკეთესო საშუალება?**
B. აბაზანის შემდეგ ჩემი მფლობელი მანებივრებს beard oil და beard wax-ით, რომლის წასმის შემდეგაც უფრო ფაფუკად და კარგად გამოვიყურები.

I. **შეოდგომა გიყვარს?**
B. კი, ძალიან. გრილა ამ დროს და მეც კომფორტულად ვგრძნობ თავს.

I. **შენი აზრით დადგება დღე, როდესაც მობეზრდები შენს მფლობელს?**
B. არა, არამგონია მოვბეზრდე, იძულებით თუ არ მოაპარსვინეს ჩემი თავი.

I. **როგორი დამოკიდებულება აქვთ ქალებს შენ მიმართ?**
B. რატომღაც ქალბატონებს ჰგონიათ, რომ ბინძური ვარ, და ხშირად უსვამენ კითხვებს ჩემს მფლობელს, როგორ მივლის და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ყველას აქვს სურვილი, შემეხონ.

I. **დაახასიათე შენი მფლობელი.**
B. ჩემი მფლობელი არის მხიარული, ძალიან უყვარს თავისუფალი დრო, უყვარს მოწევა და ბორბლებიანი ექსტრიმი.

I. **შენი მფლობელის სამომავლო გეგმები როგორია?**
B. აპირებს ველოსპორტის გაგრძელებას, გაზაფხულზე გეგმავს ევროპაში გამგზავრებას 3-4 თვით. სურვილი აქვს, მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრებებში და იცხოვროს ბედნიერად და კარგად.

I. **რას ურჩევდი შენს მფლობელს?**
B. ვურჩევდი უფრო წინდახედული იყოს და არასოდეს გამკრიჭოს.

ნიკა გომართელი

დავითი — რენესანსული პერიოდის მიქელანჯელოს მარმარილოს ქანდაკება, რომელიც შეიქმნა 1501–1504 წლებში. მისი სიმაღლე შეადგენს 5,17 მეტრს. ქანდაკება გამოსახავს ბიბლიურ პერსონაჟს, ისრაელის მეორე მეფეს – დავითს.

როლები, რომლებსაც ვთამაშობთ

რა არის პიროვნების არქეტიპები? ეს არის სხვადასხვა სიტუაციაში ადამიანის ფსიქოემოციური გამოვლინებები, რომელიც ქვეცნობიერში ღრმად არის ჩანერგილი და რომელიც პასუხისმგებელია ჩვენს ქცევაზე

ავტორები:
დიანა ნიკოლაიშვილი, ნინო ვერხვიაშვილი
ექიმი-ფსიქოთერაპევტები
ფსიქოთერაპიისა და პიროვნული ზრდის ცენტრი „სტიმული“

ყოველდღიურად თითოეული ჩვენგანი ათობით სიტუაციაში ხვდება, რომელშიც ჩვენი არქეტიპები მონაწილეობს. თუ ადამიანში ყველა არქეტიპი თანაბრადაა განვითარებული, ის კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად იქცევა. პიროვნების არქეტიპების სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს:

იმპერატორი	მებრძოლი	მცველი	ჯადოქარი	მასხარა
იგივე ავტორი, მფლობელი, ზედამხედველი, დამკვირვებელი, რეჟისორი – სწორედ ის ანაწილებს როლებს, თითოეული არქეტიპი როდის უნდა ჩაერთოს თამაშში.	მას სჭირდება ბრძოლა, მებრძოლი კარგი ტაქტიკოსია და გამომწვევის პოზიციიდან მოქმედებს.	ის საჭიროებს სიმშვიდეს, ამდენად მცველი ცდილობს, თავიდან აირიდოს ნებისმიერი სახის გამოწვევა.	კარგი სტრატეგია. ის ისწრაფვის სიტუაციის მართვისკენ და ამისთვის სხვადასხვა კომბინაციას იყენებს. ის ცდილობს, საკუთარ გეგმებში სხვებიც ჩართოს, ოღონდ ამ სხვებს საკუთარი გეგმების, დეტალების საქმის კურსში მაინცდამაინც არ აყენებს.	მოქმედებს გართობის მიზნით. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი საინტერესო გასართობის მოძიება.

ყოველი სიტუაციისთვის არსებობს ამ ჩამოთვლილი ხუთიდან უფრო მეტად შესაბამისი არქეტიპი. ცხოვრებაში, ისევე როგორც ბიზნესში, აუცილებელია იმის კარგად გაგება, როგორ ვლინდება ეს არქეტიპები და როდის რომელი „როლის“ შესრულება სჯობს. მაგალითად, უფრო ხშირად უადგილო და წამგებიანია (პირველ რიგში ჩვენთვის), როცა ქმართან ან ცოლთან სისტემატურად ვურთიერთობთ მებრძოლის, ექიმთან მასხარას, ჩვენს პატარა შვილთან – ჯადოქრის პოზიციიდან. ყველაზე უარესი კი ისაა, რომ თუ ადგილი აქვს ე.წ. „გაჭედვას“ არქეტიპში ანუ თუ რომელიმე არქეტიპისკენ გადახრა გარკვეულ კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბებს, ცხოვრება თითქოს თავისით გვაგდებს ამ როლიდან და სრულიად საპირისპირო როლზე გვამტკიცებს ხოლმე. >



აფროდიტე მილოსელის (*სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი*) ქანდაკება, უფრო ცნობილი, როგორც ვენერა მილოსელი. შეიქმნა ძველი წელთაღრიცხვის 130-100 წლებს შორის, სიმაღლით 203 სმ. ცნობილია, რომ მოქანდაკე ალექსანდრო ანტიოქიელია.

საინტერესოა ისიც, რა როლი მიუძღვის არქეტიპებს ადამიანის პირად ცხოვრებაში. იმისათვის, რომ ოჯახური ცხოვრება იყოს სრულყოფილი და მრავალმხრივი, მეუღლეებს უნდა ჰქონდეთ განვითარებული ქალური და მამაკაცური ყველა არქეტიპი. **ქალური არქეტიპები**: ევა, ელენა, მარია, სოფია. **მამაკაცური არქეტიპები**: ათლეტი, გმირი, პროფესორი, წმინდანი.

ევა

ეს არის მიწიერი ქალი, რომელიც ზრუნავს ოჯახის კომფორტზე, ყოველთვის მოწესრიგებული ბინა, გემრიელი სადილი, გარეცხილი ტანსაცმელი – ეს არის საუკეთესო დიასახლისი რომელთან ერთად ცხოვრება კომფორტული და მოსახერხებელია.

ელენა

ვნებიანი ქალი, რომელიც ნებისმიერ მამაკაცს გადაიყვანს ჭკუიდან, შეაყვარებს თავს... თუ ეს არქეტიპი განვითარებული აქვს ქალბატონს, ის ყოველთვის მამაკაცების ყურადღების ცენტრშია, ის სასურველია, მასთან ყოფნა უნდათ! თუმცა ეს დიდხანს არ გრძელდება იმ შემთხვევაში, თუ ქალბატონს მხოლოდ ეს არქეტიპი აქვს განვითარებული, რადგან მის გვერდით მამაკაცი ვერ გრძნობს იმ კომფორტს, სიმშვიდესა და მხარდაჭერას რომელიც მას სჭირდება.

მარია

ეს არის ზნეობის და სტაბილურობის მატარებელი არქეტიპი, რომელიც ყოველთვის მეუღლის გვერდით არის, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იარაღსაც დაიჭერს ხელში ოჯახისა და საყვარელი მამაკაცის დასაცავად, ასეთი ქალბატონები მიყვებოდნენ მეუღლეებს ციმბირში, ჯერ ველურ დასავლეთში და ყოველთვის, ჭირშიც და ლხინშიც, მათ გვერდით იყვნენ.

სოფია

სიბრძნის არქეტიპი. ამ შემთხვევაში იგულისხმება ქალური ინტუიცია, რომელიც ასე აკლიათ რაციონალურ მამაკაცებს. ქალი, რომლის რჩევა შეიძლება ბიზნესის გადამრჩენელი იყოს, მისი ხედვა სრულჰყოფს მამაკაცის ლოგიკურ და რაციონალურ იდეებს და მათი განხორციელება უფრო ადვილი და წარმატებული ხდება.

ამ შემთხვევაში, თუ ქალბატონი ახერხებს ამ ოთხი არქეტიპის დროულ განვითარებასა და სწორ დროს გამოყენებას, ის ხდება რეალიზებული, ბრწყინვალე, ბედნიერი მეუღლე.

თუ მამაკაცს განვითარებული აქვს შემდეგი ოთხი არქეტიპი და შეუძლია მათი დროული გამოყენება, მას აქვს ყველაფერი ბედნიერი და სრულყოფილი ოჯახისათვის.

ათლეტი	გმირი	პროფესორი	წმინდანი
ქალბატონები ქვეცნობიერის დონეზე ეძებენ მამაკაცს, რომელიც იქნება ჯანმრთელი შთამომავლობის მომცემი. ეს ყველაფერი კარგად ჩანს მამაკაცის ფიზიკურ ფორმაში, ათლეტი არის მამაკაცი, რომელიც ყურადღებას აქცევს საკუთარ ფიზიკურ ფორმას, არის ძლიერი და ბრძოლისუნარიანი, მოახერხებს ოჯახის დაცვას.	ბოლო დროს ეს არქეტიპი ტრანსფორმაციას განიცდის, და მის ადგილს იკავებს კუმირის არქეტიპი. ეს არის მამაკაცი, რომელმაც მიაღწია გარკვეულ წარმატებას, მას იცნობენ გარკვეულ წრეებში, ეს არის ადამიანი, რომელმაც იბრძოლა ამ ყველაფრისათვის. ქალბატონი ხედავს, რომ ის სანდო პარტნიორი იქნება.	ეს არქეტიპი გულისხმობს მამაკაცს, რომელსაც აქვს „ტვინი“, რომელსაც შეუძლია ლოგიკური აზროვნება და საზოგადოების აზრისაგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. თუ მამაკაცს ეს არქეტიპი კარგად აქვს განვითარებული, ქალბატონმა შეიძლება პირველი ორი არქეტიპის ნაკლებობაზე თვალი დახუჭოს.	ეს არის ზნეობისა და ერთგულების არქეტიპი. რომელიც ეხმარება მეუღლეებს გვერდიგვერდ გაატარონ ცხოვრება. ამ დროს ქალი არ აღიქმება როგორც დიასახლისი ან სათამაშო და ის უკვე არის მამაკაცის თანამგზავრი. რომელთან ერთად გინდა ცხოვრება, გსიამოვნებს გაღვიძება.

რატომ არის მნიშვნელოვანი სწორ დროს ამ არქეტიპების გამოყენება

წარმოიდგინეთ, რომ მშიერი და დაღლილი ქმარი ბრუნდება სამსახურიდან და ელოდება ცოლისაგან „ევას არქეტიპს“ ვახშამს და სიმშვიდეს, ამ დროს ცოლი არის ელენას არქეტიპში და სთავაზობს მას ვნებას და სხეულს... ან ქალს სჭირდება ქმრისაგან დაცვა (გმირი) და ამის მაგივრად ქმარი, რომელიც პროფესორშია დარჩენილი, ჭკუას ასწავლის მას...

ასეთი მაგალითი უამრავია და ხშირად ოჯახური კონფლიქტი ამით არის გამოწვეული. მეუღლე ვერ ხვდება, რატომ არის მისი მეორე ნახევარი უკმაყოფილო და აგრძელებს ისევ ისე მოქმედებას. უკმაყოფილება იზრდება და პოტენციურად კარგი ოჯახი ინგრევა. ფსიქოთერაპევტები ფლობენ სპეციალურ ტექნიკებს, რომლითაც ეხმარებიან კლიენტებს მათი არქეტიპების შესწავლაში, განვითარებასა და დროულ გამოყენებაში, რითიც ოჯახური კონფლიქტების დიდი ნაწილი რეგულირდება და წყვილი აღწევს ბედნიერებას.

BRIDGET JONES: MAD ABOUT THE BOY
Helen Fielding



არასდროს

მიგიციათ თქვენი თავისთვის უფლება, გეჭამათ მესამე ნამცხვარი, დაგელიათ ზედმეტი ან სულაც მიგეღოთ ალკოჰოლი ყოველგვარი მიზეზის გარეშე? არასდროს დაგვიწყებიათ ბავშვების სკოლიდან გამოყვანა? არასდროს დაგიდიათ პირობა საკუთარ თავთან, რომ ორშაბათიდან დაანებებთ თავს მოწევას ან დაიწყებთ ვარჯიშს? არცერთხელ გამოიყურებოდით სულელურად? არასდროს დაგიწერიათ ტვიტერში პოსტი პაემანზე, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა? არა? მაშინ ეს წიგნი თქვენთვის არ არის! ჰელენ ფილდინგი აგრძელებს ყველასთვის საყვარელი ბრიჯიტ ჯონსის ისტორიას. ბრიჯიტის დღიური ისეთივე ბედნიერების მაძიებლებისთვისაა, როგორც თავად ისაა!

ASTRAGAL
Albertine Sarrazin

ალბერტინა

სარაზენის ნახევარი საუკუნის წინ გამოქვეყნებულმა ავტობიოგრაფიულმა რომანმა - „მე მქვია ასტრაგალი“ - მსოფლიო მოიარა. ავტორს, რომელიც პროსტიტუციისა და ქურდობის ბრალდებით ციხეში არაერთხელ მოხვედრილა, ციხეშივე დაწერილმა რომანმა არნახული პოპულარობა მოუტანა. წიგნში აღწერილი ყველა მოვლენა რეალურია. ციხიდან გაქცევა, კანონგარეშე ცხოვრება, არანორმალური სიყვარული - ყველაფერი ეს ზედმიწევნით გულწრფელადაა აღწერილი, ციხის მოგონებებისა და გისოსებს მიღმა მოხვედრის მუდმივი შიშის ფონზე. წიგნისადმი ინტერესი წლების შემდეგაც არ ქრება.



THE HUSBAND'S SECRET
Liane Moriarty

არსებობს

საიდუმლოები, რომლებიც უმჯობესია, სამუდამოდ გაუმხელელი დარჩეს. წარმოიდგინეთ, რომ თქვენმა ქმარმა დაწერა წერილი, რომელიც თქვენ მისი სიკვდილის შემდეგ უნდა წაიკითხოთ და აქვე წარმოიდგინეთ, რომ წერილი ფარდას ხდის საშინელ საიდუმლოს, რომელსაც შეუძლია, დაამსხვრიოს არა მხოლოდ თქვენი პირადი მყუდროება, არამედ უხეშად შეეხოს თქვენ გარშემო მყოფთა ცხოვრებასაც.

სესილია ფიცპატრიკი შემთხვევით პოულობს წერილს, რომელიც მისმა მეუღლემ მრავალი წლის წინ დაწერა, თხოვნით, გაეხსნათ ის მისი სიკვდილის შემდეგ. მაგრამ ქმარი ჯერ ცოცხალია და ითხოვს, არ გახსნან გზავნილი. სესილია მაინც კითხულობს წერილს და საშინელი საიდუმლო რადიკალურად ცვლის არა მარტო მისი ოჯახის, არამედ სრულიად უცნობი ხალხის ცხოვრებასაც. თუ ოჯახური ინტრიგები გაინტერესებთ, ეს წიგნი თქვენთვისაა!

THE WOMAN WHO WENT TO BED FOR A YEAR
Sue Townsend

როდესაც

ევას ნიჭიერი შვილები ტოვებენ მშობლების სახლს, ის წვება ლოგინში. მას მობეზრდა შვილების უდარდელობა, ქმრის უხასიათობა და საზოგადოების განუკითხაობა. ევა მალევე იგებს, რომ მის ქმარს რომანი აქვს სხვა ქალთან. შოკირებულია იმით, რომ გარშემომყოფები აღიქვამენ მის „წოლას“, როგორც რაღაც თავისთავადს და რაც მთავარია, ევა თავადაც ასე ფიქრობს.

მიუხედავად იმისა, რომ ევას უარი - იცხოვროს ნორმალური ცხოვრებით, აღელვებს ყველას - სამედიცინო მუშაკებისა და მეზობლების ჩათვლით, ის აგრძელებს ლოგინში წოლას და ამ უცნაური, მაგრამ კომფორტული ადგილიდან იწყებს სამყაროს და საკუთარი თავის ახლებურად დანახვას.



THE NOVEMBER MAN

ჟანრი: ბლოკბასტერი
რეჟისორი: Roger Donaldson
მსახიობები: Pierce Brosnan, Luke Bracey, Olga Kurylenko, Eliza Taylor, Caterina Scorsone
ბიუჯეტი: $15.000.000

ისტორია ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილ აგენტზე, რომელიც პირადი მიზეზით უბრუნდება სამსახურს. პროცესში ის აღმოაჩენს, რომ მტერი ჰყავს – თავისი ყოფილი მოსწავლე. ასევე გაიგებს, რომ ყველაფერი, რაც ხდება სახიფათო თამაშის ნაწილია, რომელშიც მონაწილეობენ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს უმაღლესი დონის თანამშრომლები და რუსეთის უკვე არჩეული პრეზიდენტი.

THE FAULT IN OUR STARS

ჟანრი: დრამა, მელოდრამა
რეჟისორი: Josh Boone
მსახიობები: Zach Braff, Donald Faison, Josh Gad, Pierce Gagnon, Ashley Greene, Kate Hudson
ბიუჯეტი: $12.000.000

ჰეიზელს კიბო აქვს. მიუხედავად იმისა, რომ დაავადებამ პროგრესირება დროებით შეწყვიტა, გოგონა ვერ გრძნობს სიხარულს. ის ერთ დღეს გაიცნობს ოგასტუს უოტერსს, რომელიც მომენტალურად უყვარდება. ოგასტუსი და ჰეიზელი მიემგზავრებიან სიცოცხლით და ვნებებით აღსავსე მოგზაურობაში, რომელიც დაანახებს მათ, რომ სიცოცხლის აზრის პოვნა მის ნებისმიერ მონაკვეთშია შესაძლებელი.



LUSY

ჟანრი: ფანტასტიკა, ბლოგბასტერი
რეჟისორი: Luc Besson
მსახიობები: Scarlett Johansson, Morgan Freeman, Amr Waked, Choi Min-sik
ბიუჯეტი: $40.000.000

ერთი დღის წინ ის უბრალოდ სექსუალური, ქერა გოგონა იყო, დღეს კი ყველაზე საშიში და გამანადგურებელი არსებაა პლანეტაზე, ზებუნებრივი შესაძლებლობებითა და ინტელექტით. ის, რაც მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერებს ცოტა ხნის წინ ფანტასტიკურ თეორიად მიაჩნდათ, მისთვის რეალობაა და ახლა ის მსხვერპლიდან მონადირედ იქცა.

HECTOR AND THE SEARCH FOR HAPPINESS

ჟანრი: დრამა
რეჟისორი: Peter Chelsom
მსახიობები: Simon Pegg, Toni Collette, Rosamund Pike
ბიუჯეტი: £9.142.341

ახალი ჰექტორი, ოდნავ ექსცენტრიული, მაგრამ საოცრად მომხიბვლელი, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ლონდონელი ფსიქიატრია. მისი კრიზისი გამოწვეულია იმით, რომ დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ის პაციენტებს ვერ აბედნიერებს. ჰექტორი გადაწყვეტს, წავიდეს სამოგზაუროდ და გაიგოს, არსებობს თუ არა ბედნიერება ზოგადად და პირადად მისთვის...

THE DISAPPEARANCE OF ELEANOR RIGBY: HER

ჟანრი: დრამა
რეჟისორი: Ned Benson
მსახიობები: Jessica Chastain James McAvoy

დილოგიის მეორე ნაწილი მეუღლეების რთული ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს, მათი საოჯახო ცხოვრების კრიზისულ პერიოდში. ამჯერად, პირველი ნაწილისგან განსხვავებით, ამბავი ქალის თვალითაა დანახული. მოქმედება ნიუ-იორკში ვითარდება. ეს არის ისტორია რესტორნის მფლობელისა და მისი ცოლის შესახებ.

A MOST WANTED MAN

ჟანრი: თრილერი
რეჟისორი: Anton Corbijn
მსახიობები: Philip Seymour Hoffman, Rachel McAdams, Willem Dafoe, Nina Hoss

ყველა ომი იწყება შიშით. ყველა ღალატი იწყება ნდობით. საიდუმლო ქვედანაყოფის უფროსი იღებს დავალებას, იპოვოს საშიში, საერთაშორის დონის ძებნილი – ისა კარპოვი, რომელსაც, სიმპათიის, გამო ახალგაზრდა ადვოკატი გოგონა მფარველობს. როდესაც დევნაში ერთვებიან სხვა ქვეყნების საძიებო სამსახურები, იწყება დიდი ჯაშუშური ომი.

EVGENY TIKHONOVICH

ეს მიყვარს, როცა ზომაზე მეტად მოდური ვხვდები

ეს ყველაზე მოულოდნელი, დაუგეგმავი და სასიამოვნო შეხვედრა იყო ჩემი ჟურნალისტური კარიერის მანძილზე. თბილისის მოდის კვირეულზე მოპირდაპირე რიგში მჯდომი ევგენი ტიხონოვიჩის დანახვას ნამდვილად არ ველოდი. ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა; მივედი და გავესაუბრე. შეხვედრა დილისთვის დავგეგმეთ და ნამდვილად სასიამოვნო საუბარი გამოგვივიდა. შევეხეთ სხვადასხვა თემას: მოდას, ჟურნალებს, თბილისს, წარმატებასა და რისკის ფაქტორებს. როგორია ჟურნალები INSTYLE-ის, ELLE-ის და GQ-ს ყოფილი მოდის რედაქტორი და ახლა BURO 24/7 რედაქციის დირექტორი? უშუალო, ლაღი და აბსოლუტური კოსმოპოლიტი, ისეთი, როგორიც უნდა იყოს 21-ე საუკუნის ჯენტლმენი.

INTERVIEW. **ევგენი, პირველად ხართ თბილისში?**
EVGENY TIKHONOVICH. დიახ და გაოცებული ვარ ფერების სიმრავლით. მიუხედავად იმისა, რომ ღრუბლიანი ამინდებია, თბილისი და, ზოგადად, საქართველო მაინც მზესთან და ცისფერ ცასთან ასოცირდება. გუშინ მოვახერხეთ და მცხეთას ვესტუმრეთ, მოვინახულეთ სვეტიცხოველი. საოცარი ენერგეტიკაა იქ. მონუსხული ვარ ტაძრების არქიტექტურით. საკმაოდ განხვავდება რუსულისგან, ჩემი აზრით, უფრო მონუმენტურია.

I. **მოდის კვირეულის ფარგლებში ხართ ჩვენთან სტუმრად; რას იტყვით თბილისის მოდის კვირეულზე?**
E. T. ქართველებს არაჩვეულებრივი გემოვნება გაქვთ... ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირის დროს საქართველო ყველაზე მოდურ ქვეყანად ითვლებოდა. ატელიე კიკალას დიზაინერზე, ლადო ბოკუჩავაზე, რეგულარულად ვწერთ ხოლმე BURO 24/7. ის ნამდვილად ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი დიზაინერია, საუცხოოდ მუშაობს ტყავზე. რაც შეეხება კონკრეტულად მოდის კვირეულს, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო იდეები და ხედვა აქვთ ქართველ დიზაინერებს. სამომავლოდ ვურჩევდი, მეტი აქცენტი კომერციაზე გაეკეთებინათ. საჭიროა, დროულად გადახვიდე ექსპერიმენტული გზიდან კომერციისკენ.

I. **ევგენი, როგორც ვიცი, თქვენ 8 წელია, რაც ბეჭდურ მედიაში მოღვაწეობთ. როგორ დაიწყო თქვენი გზა და საერთოდ, რატომ გადაწყვიტეთ ამ სფეროში მოღვაწეობა?**
E. T. დიახ, ნამდვილად ასეა. 2005 წლიდან. თავიდან INSTYLE-ში დავიწყე მუშაობა, შემდეგ იყო ჟურნალები ELLE და GQ. ყველაფერი კი ჟურნალი GQ-ს სიყვარულით დაიწყო. მისი ერთგული გამომწერი ვიყავი, როდესაც ჯერ კიდევ პეტროზავოდსკში ვცხოვრობდი. 2001, 2002 წელი იქნებოდა; სულ სამი ეგზემპლარი ჩამოდიოდა ჩვენს ქალაქში. მახსოვს, როგორ გავრბოდით მე და ჩემი მეგობარი, რომ მიგვესწრო და შეგვეძინა ჟურნალი. ვცდილობდით, მოდურად ჩაგვეცვა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო პროვინციაში. ამ ყველაფერმა იმდენად მომხიბლა, რომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლის დროს უკვე ზუსტად ვიცოდი - მე პრიალა ჟურნალში ვიმუშავებდი! მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიის განხრით ვსწავლობდი. ეს სფერო სერიოზულად არც მაშინ აღიქმებოდა და ახლაც იგივე დამოკიდებულებაა. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ჟურნალი - ეს არის მძლავრი ინდუსტრია თავისი წესებით, კანონებით და კულტურით. მოდის და ამ სფეროს მიმართ დიდი ინტერესის წყალობით აღვმოჩნდი INSTYLE-ში მოდის რედაქტორის პოზიციაზე. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთში დღემდე არ არის ამ სფეროს შესწავლის შესაძლებლობა, ყველაფერს ადგილზე ვსწავლობდი. ეს არის მუდმივი თვითგანვითარების გზა, ბევრი კითხვა, კითხვა, სესიების თვალიერება, მოგზაურობა. ძალიან მეხმარებოდა ამ ყველაფერში მოდის კრიტიკოსი ოლგა მიხაილოვსკაია (რუს სიუზი მენკესად ცნობილი), სწორედ აქ მოხდა ჩემი პირველი ნაბიჯების გადადგმა ამ სფეროში. შემდეგ იყო ELLE, სადაც ყველაზე დიდი დრო მაქვს გატარებული და GQ! ეს ლეგენდარული ჟურნალია. სწორედ ისეთი, როგორიც უნდა იყოს ნაღდი ჟურნალი მამაკაცებისათვის – ესთეტიკის ხაზგასმით, ბობოქარი, თამამი, ლაღი კონტენტით.

I. **დღეს თქვენ აღარ ხართ GQ-ში...**
E. T. დიახ აღარ ვარ. 8 წელი ვიყავი მოდის რედაქტორი სხვადასხვა ჟურნალებში და სიმართლე გითხრათ, მომინდა გამეფართოებინა ჰორიზონტი. ამ დროს მივიღე შემოთავაზება მიროსლავა დუმასგან, მეხელმძღვანელა BURO 24/7-სთვის. >

I. არ იყო რთული წასვლა იმ ჟურნალიდან, რომელიც, როგორც აღნიშნეთ, თქვენთვის ამდენს ნიშნავდა?

E. T. არა, მძიმე ნამდვილად არ ყოფილა. თან მე ძალიან მომწონს ლოკალური პროდუქტები. BURO 24/7 მაინც ლოკალურია, ასე არ არის? შემდეგ გახდა გლობალური. მარტივია იყო ისეთი მსოფლიო ბრენდების წარმომადგენელი, როგორებიცაა GQ, VOGUE – ყველაფერი სრულ წესრიგშია, საქმე აწყობილია. ერთადერთი, რაც გევალება – თანამონაწილეობაა. აქ კი ყველაფერი პირიქითაა. გაქვს სრული თავისუფლება და შესაძლებლობების რეალიზების საუკეთესო პირობები. მოიფიქრე და გააკეთე რაც გინდა. გაქვს სრული თავისუფლება და თავად ხარ წარმატების შემოქმედი. ვერაფერი შეედრება შეგრძნებას, როდესაც აკვირდები – რამდენად სწრაფად ვითარდება და იზრდება შენი საქმე. დღეს ჩვენი მუშაობით ისეთი ქვეყნები და გამომცემლები ინტერესდებიან, რომ ნამდვილად გვაქვს სიამაყის და უსაზღვრო სიხარულის შეგრძნება.

I. ერთ-ერთ ინტერვიუში ამოვიკითხე თქვენი ფრაზა, რომელმაც ცოტა დამაბნია – „არ მიყვარს, როცა ზომაზე მეტად მოდური ვჩანვარ“. თქვენ ხომ ამდენი წელია ამ სფეროში ხართ?

E. T. მართლაც, მრავალი წელია, რაც მოდაზე ვწერ, ვესწრები ჩვენებებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნამდვილად არ ვარ მოდის მსხვერპლი. სწორედ ამის თქმა მინდოდა. მოდა და, ზოგადად, ეს სფერო უფრო პროფესიული და კომერციული თვალსაზრისით მაინტერესებს. ჩემი აზრით, კომერცია და მოდა ერთმანეთისგან განუყოფელია.

I. ევგენი, თქვენი კარიერა დაიწყო ბეჭდური მედიით და შემდეგ გადაინაცვლეთ ინტერნეტ-პროექტში. თქვენი აზრით, ნაბეჭდი ტექსტი განწირულია?

E. T. იცით, მეც ხშირად მიფიქრია ამაზე. მგონია, რომ ბეჭდური მედია, მედია – ქაღალდზე – არასდროს ამოწურავს საკუთარ თავს. დღეს ჩვენ ვუსმენთ მუსიკას კომპიუტერებში, მაგრამ როცა რაღაც განსაკუთრებული გარემოს და განწყობის შექმნა გვინდა, ვიძენთ ფირფიტებს და ვუსმენთ მათ. შეხება, სუნი, შეგრძნებები, რაც ქაღალდთან გვაკავშირებს მეტისმეტად მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ ასე უბრალოდ გაიწიროს.

I. რითი ხელმძღვანელობთ თანამშრომლების შერჩევისას?

E. T. მთავარია მუშაობის სურვილი. ჩვენ საკმაოდ მძიმე საუშაო გრაფიკი გვაქვს. 35-მდე ტექსტია ხოლმე ერთ დღეში მოსამზადებელი. ეს საკმაოდ რთულია. დედლაინები გვაქვს ხოლმე 15-20 წუთი. ადამიანი უნდა იყოს მზად ასეთი გრაფიკისთვის. ვიწყებთ დილის 8 საათზე და ვამთავრებთ გვიან საღამოს, ვმუშაობთ დასვენების დღეებშიც, დღესასწაულებზე. ჩვენ 24 საათი ვართ ონლაინ, მუდმივად სიახლეების ძიებაში.

I. არის რამე, რაც ვერასდროს მოხვდება თქვენს კონტენტში?

E. T. რა თქმა უნდა, გვაქვს გარკვეული ჩარჩოები. ჩვენ არ ვეწევით შიშველი ნატურის პროპაგანდას. ვართ მოწევის, ალკოჰოლის და დისკრიმინაციის წინააღმდეგნი. მახსენდება ერთი შემთხვევა, დაშა ჟუკოვას ფოტო, სადაც ის ზის სკამზე. სკამი ფერადკანიანი ქალის სახით იყო წარმოდგენილი. ეს ფოტო თანამედროვე ხელოვნების კონტექსტს გამოხატავდა და მიუხედავად ამისა, მაინც გამოიწვია ძალიან დიდი გამოხმაურება და მითქმა-მოთქმის საგანიც გახდა. საქმე ისაა, რომ საიტზე ფოტოს ატვირთვა დაემთხვა მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღეს, რაც ჩვენთვის იყო სრული მოულოდნელობა და შოკი. ერთგვარი საბედისწერო დამთხვევა გამოვიდა.

I. **თქვენი აზრით, ეს ფაქტი BURO 24/7-ის მინუსი იყო?**

E. T. არა, მინუსად ნამდვილად არ ვთვლით, მე ამას უფრო გამოუცდელობას დავარქმევდი. დღემდე არაერთი წერილი მოგვდის რედაქციაში, გვთხოვენ ამ ფოტოს გამოყენების ნებართვას. თუმცა, დღემდე უარს ვამბობთ ამაზე, რადგან ეს პირადად დაშას ფოტოა და მას სურდა გარკვეული მესიჯის მიწოდება საზოგადოებისთვის.

I. **ევგენი, ხშირად მიდიხართ რისკზე სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას?**

E. T. გარკვეულწილად, გვიწევს რისკზე წასვლა. ჩვენი მიზანია, ვესაუბროთ ჩვენს აუდიტორიას. აუდიტორიასთან საუბარი კი დარკვეული პროვოცირების გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, ვცდილობთ, ისეთი ავტორები მოვიწვიოთ, ვინც შეძლებს მსგავსი პოლემიკის გამოწვევას. ეს მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ საიტმა იცოცხლოს. ასე რომ, მე ჯანსაღი რისკის მომხრე ვარ.

I. **როგორც GQ-ს ყოფილი მოდის რედაქტორმა, გვითხარით, როგორია 21-ე საუკუნის ჯენტლმენი.**

E. T. 21-ე საუკუნის ჯენტლმენი აბსოლუტური კოსმოპოლიტია. იცის ყველა წესი, მაგრამ არ ერიდება მათ დარღვევას. მას თავისუფლად შეუძლია წავიდეს წვეულებაზე დრესკოდით Black Tie და ჩაიცვას არა კლასიკური შავი სმოკინგი, არამედ ზურმუხტით გაწყობილი ხავერდის პიჯაკი. ის არის განათლებული; იცის საკუთარი თავის წარმოჩენა; ფართოდ გახელილი თვალებით უყურებს სამყაროს; არის ტოლერანტულია ყველაფრის მიმართ; აუცილებლად არის თავშეკავებული. ქალბატონებზეც იგივე შემიძლია გითხრათ, მე კოსმოპოლიტიზმის მომხრე ვარ.

I. **დაბოლოს, თქვენი რჩევა ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც ისევე, როგორც თქვენ თავის დროზე, ოცნებობენ GQ-ზე , ELLE-ზე , ახლა უკვე BURO 24/7-ზე?**

E. T. იმაზე მარტივია თქვენ მიერ ჩამოთვლილ ჟურნალებში მოხვედრა, ვიდრე ხალხს ჰგონია, რადგან გამომცემლობებს კადრების მუდმივი პრობლება და დეფიციტი აქვთ, განსაკუთრებით კი მათი, ვინც კარგად წერს. უნდა გაინტერესებდეთ ეს საქმე და გიყვარდეთ. უყურებდეთ ამას, როგორც სერიოზულ საქმეს და არა გართობას. და არ მოგერიდოთ ნამუშევრების გამოგზავნა, თუ წერთ ან, მაგალითად, ფოტოებს იღებთ. ჩვენ მუდმივ ძიებაში ვართ და ვეძებთ ნიჭიერ ახალგაზრდებს. ასე რომ...

ნიკა გომართელი

რეცეპტები სიმინდის გამოყენებით

აბრეშუმის ქოჩორა გემრიელი სიმინდი

სიმინდი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კულტურაა მსოფლიოში. სიმინდის მარცვალში 65-70 % ნახშირწყლებია, 9-12 % ცილები და 4-5 % ცხიმები. კვებითი ღირებულების თვალსაზრისით, ეს საკმაოდ სასარგებლო, ბევრ ქვეყანაში კი შეუცვლელი საკვებად ვარგისი მცენარეა. მეცნიერები შეჯერდნენ აზრზე, რომ სიმინდის სამშობლო ცენტრალური ამერიკა, კერძოდ კი – მექსიკაა. მეხიკოსთან ახლოს 70 მ-ის სიღრმეზე ჩატარებულ გათხრებში ნაპოვნია ველური სიმინდის მტვრის მარცვლები, რომლის ხნოვანება განისაზღვრება 80 ათასი წლით. ასე რომ, ადვილი წარმოსადგენია სიმინდისგან მომზადებული კერძების მრავალფეროვნება და გავრცელების არეალის მასშტაბები.

საქართველოში ეს მცენარე ზაფხულთან, პლაჟთან და იქვე ნაყიდ ჭყინტ, უგემრიელეს სასუსნავთან ასოცირდება. იშვიათად – სიმინდს ვამატებთ სხვადასხვა სალათში და ასევე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი „მეორე პური" – ჭადი, რომელიც, რასაკვირველია, სიმინდის ფქვილისგან მზადდება. არსებობს უამრავი ისეთი რეცეპტი, რომელშიც სიმინდის გამოყენებაა შესაძლებელი. გაიფართოვეთ კულინარიული თვალსაწიერი, გაეცანით ამ მარტივ და სასარგებლო კერძებს, გაახარეთ ახლობლები და ოჯახის წევრები განსხვავებული კერძებით.

ტკბილი შემწვარი სიმინდი

დაგჭირდებათ:

2 სუფრის კოვზი ზეთი, 1 თავი ხახვი, წითელი და მწვანე ბულგარული წიწაკა, ცოტაოდენი ქინძი, მწვანე წიწაკა, 350 გრამი სიმინდი, 125 გრამი სოკო.

მომზადების წესი:

გააცხელეთ ზეთი სქელძირიან თუჯის ქვაბში, დაამატეთ დაჭრილი ხახვი, წიწაკა და კარგად მოშუშეთ. ბოსტნეული უნდა დარბილდეს და გაოქროსფერდეს. დაამატეთ სიმინდი (შეგიძლიათ ტაროები დაჭრათ პატარ-პატარა ნაწილებად). ორიოდე წუთში ქვაბში ჩაუძახეთ სოკოს, ქინძს და გააგრძელეთ ნელ ცეცხლზე მომზადება სრულ მზადყოფნამდე. მომზადებული კერძი გადაანაწილეთ თეფშებზე და მორთეთ ქინძით.

ბატი-ბუტი (POPCORN)

პოპკორნი სიმინდის მარცვლებია, რომლებიც თერმული დამუშავების (გახურების) შედეგად სკდება და თითოეული ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობ ფორმას იღებს. ჩვეულებრივ, მათ დამტკბარს ან დამარილებულს მიირთმევენ. პოპკორნს ათასწლეულების წინ ამზადებდნენ ამერიკის კონტინენტზე მცხოვრები ინდიელები. მათ მარცვლოვანი მცენარის, მაისას ერთ სახეობას მიაკვლიეს. ამ მცენარის მარცლვები მცირე რაოდენობით სახამებელს შეიცავს. გახურების შედეგად სახამებლის შემადგენლობაში შემავალი წყალი ხურდება, გარსს ხეთქავს და მარცვალიც ფართოვდება.

მსუბუქი საგაფხულო სალათი

დაგჭირდებათ:

400 გრამი სიმინდი, 500 გრამი პომიდორი-ჩერი, 10 ცალი ბოლოკი, 1 ცალი ავოკადო, 3 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, ლიმონი, მარილი, წიწაკა (გემოვნებით).

მომზადების წესი:

მიუხედავად იმისა, რომ „კართან უკვე ზამთარი მოდგა“, ეს სალათი ცოტა ხნით მაინც დაგაბრუნებთ ზაფხულის ფერადოვნებასა და სიმსუბუქესთან. თანაც, ინგრედიენტების გათვალისწინებით, საკვები დაბალკალორიულია, ეს კი დამატებითი მოტივატორია მის მოსამზადებლად.

თავდაპირველად, ვამზადებთ სოუსს. გამოწურეთ ლიმონი, შეურიეთ ზეითუნის ზეთი, მარილი და შავი წიწაკა. ცოტა ხნით „შეასვენეთ“ საწებელი. სიმინდი შეგიძლიათ მოხარშოთ და დამარცვლოთ, შეგიძლიათ გამოიყენოთ კონსერვირებული.

ავოკადო და პომიდორი დაჭერით სასურველი ზომის კუბებად, თხლად და მრგვლად მოაჭერით ბოლოკი, დამარცვლილი ან დაკონსერვებული სიმინდი მოათავსეთ სასალათე თასში და დააყარეთ დანარჩენი ინგრედიენტები რიგ-რიგობით. მიიღებთ ულამაზესი ფერების პალიტრას. ამ მშვენიერებას მოასხით უკვე მომზადებული სოუსი და სალათი მზადაა.

სიმინდი კლიარში

დაგჭირდებათ:

3 კვერცხი, 3 სუფრის კოვზი ზეთი, ერთი მესამედი ჭიქა რძე, ცოტაოდენი მარილი, 450 გრამი სიმინდი.

მომზადების წესი:

გსურთ გასინჯოთ სიმინდი, მისთვის უჩვეულო და მოულოდნელ ამპლუაში? მაშინ აუცილებლად უნდა მოამზადოთ სიმინდი კლიარში. კლიარი (ფრ. – clair – თხევადი) თხელი ცომია, რომელშიც ავლებენ პროდუქტებს და წვავენ. სწორედ მისი მომზადებით დავიწყოთ.

კვერცხის გულები, ზეთი და რძე კარგად ათქვიფეთ, დაამატეთ მარილი და სურვილისამებრ, წიწაკაც. ამ მასაში ჩაყარეთ ორი მესამედი ჭიქა ფქვილი და ამოურიეთ, რომ არ დაკორკოტდეს. როდესაც ერთგვაროვან მასას მიიღებთ, ჩაამატეთ წინასწარ ათქვეფილი კვერცხის ცილა და კვლავ ფრთხილად ამოურიეთ. მარილწყალში მაგრად მოხარშული და დანაწევრებული სიმინდი სათითაოდ ამოავლეთ ამ მასაში, მოათავსეთ ცეცხლგამძლე ჭურჭელში და შედგით 170 გრადუსზე გახურებულ ღუმელში. კერძი 8-10 წუთში იქნება მზად.

FRESCO ფრესკო

სუპერმარკეტების ქსელი

ჩვენი ოჯახის
საყვარელი
სუპერმარკეტი
უკვე
საბურთალოზეც

ვაჟა-ფშაველას გამზ. N97

(2 907 907
fresco.ge

- ვარკეთილი, კალოუბნის ქ. N9
- გლდანი, გობრონიძის ქ. N18
- ორთაჭალა, გორგასლის ქ. N61
- საბურთალო, ვაჟა-ფშაველას გამზ. N97
- ჩუღურეთი, ჩიქობავას ქ. N22 • 27 ნოემბრიდან
- სანზონა, გურამიშვილის გამზ. N64 • 25 დეკემბრიდან

ELCOMM CAUCASUS

ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკის საერთაშორისო გამოფენა და კონფერენცია გამოფენათა ცენტრ

ექსპო-ჯორჯიაში

თანამედროვე ენერგომომსახურებების მისაწვდომობა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის კეთილდღეობის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საწინდარია. ენერგეტიკული უსაფრთხოება წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანასა და გამოწვევას, რადგან სტაბილურ ენერგორესურსების მოწოდებაზე დამოკიდებულია როგორც თითოეული, საქართველოში ფუნქციონირებადი ორგანიზაცია, ასევე ყოველი მოქალაქე და გარე ქვეყნებიდან ამ რესურსების მიღება რისკის ქვეშ აყენებს აღნიშნულ სტაბილურობას.

ენერგეტიკული უსაფრთხოება წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას

შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლების ნათელი ძალისხმევა ენერგეტიკის დარგის სტაბილური და მდგრადი განვითარებისთვის. ამ მიზეზების გათვალისწინებით, 12-14 ნოემბერს გამოფენების ცენტრი „ექსპო-ჯორჯია" უმასპინძლებს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკის საერთაშორისო გამოფენას, Elcomm 2014-სა და კონფერენციას თემაზე ენერგეტიკა მდგრადი განვითარებისთვის.

გამოფენის ძირითად მიზანს წარმოადგენს დარგის განვითარების მხარდაჭერა და ზრდის სტიმულირება, ძირითადი მოთამაშეების, დამფინანსებელი მხარეებისა და დაინტერესებული მხარეების ერთ სივრცეში შეკრების გზით. ღონისძიება არის პლატფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს დამთვალიერებელს, მიიღოს ინფორმაცია დარგში არსებული სიახლეების, ახალი ტექნოლოგიებისა და საქართველოს ბაზარზე არსებული მომსახურებების სრული სპექტრის შესახებ. გამოფენის ფარგლებში გაიმართება სამუშაო შეხვედრები ენერგეტიკის დარგში მომუშავე ორგანიზაციებთან.

გამოფენის პარალელურად ჩატარებული კონფერენციის ფარგლებში განხილული იქნება საქართველოს ენერგეტიკის სექტორის განვითარების სტრატეგია, სატარიფო პოლიტიკა, მიმდინარე პროექტები და სხვა, დარგისთვის აქტუალური თემები. კონფერენციის გამომსვლელთა შორის წარმოდგენილები არიან როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორის წარმომადგნლები.

ღონისძიების ოქროს სპონსორია, ჰიდროელექტროსადგურებისთვის ელეტრომექანიკური სისტემებისა და მომსახურების მომწოდებელი ავსტრიული კომპანია – „ანდრიტს ჰიდრო", რომელიც ითვლება მსოფლიო ლიდერად ჰიდრავლიკური ენერგიის გამომუშავების დარგში. შესაბამისად „ანდრიტს ჰიდროს" მთავარი პრიორიტეტი მდგრადობა და რესურსების კონსერვატიული გამოყენებაა.

2014 წელს ჩატარებული გამოფენის ფარგლებში, გაზრდილია წარმოდგენილი ენერგოპროდუქტების, მომსახურებებისა და ტექნოლოგიების სპექტრი. შესაბამისად, სტუმრებს მიეცემათ უნიკალური შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია დარგში არსებული სიახლეების შესახებ, დაამყარონ ურთიერთობა ბაზრის ძირითად მოთამაშეებთან და ასევე, კონფერენციაში მონაწილეობით, საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიის შექმნის პროცესში.

თბილისში TOMMY HILFIGER-ის ოფიციალური მაღაზია გაიხსნა

TOMMY HILFIGER-მა რუსთაველის 46-ში პირველი ოფიციალური მაღაზია გახსნა. ღონისძიებაზე მოწვეულმა სტუმრებმა ბრენდის უახლესი ევროპული ხაზის კოლექცია დაათვალიერეს. მაღაზიის ინტერიერში მრავლადაა ორიგინალური არქიტექტურული ელემენტის ეკლექტიკური ნაზავი, ანტიკური ავეჯი, გრაფიკული ნამუშევრები და აქსესუარები.



თბილისის მაღაზიის დახვეწილი სტილი Tommy Hilfiger-ის გლობალური ფლაგმანების – ნიუ-იორკის, პარიზის, ლონდონის, ტოკიოს და ლოს ანჯელესის მაღაზიების ანალოგია.

Tommy Hilfiger-ი პრემიუმ კლასის ბრენდია, რომელიც მსოფლიოში ყველაზე აღიარებული ტანსაცმლის დიზაინერების ჯგუფში შედის და ქმნის ქალის, მამაკაცის და ბავშვის სამოსის მაღალი ხარისხის ხაზს.

LOPOTA CUP 2014

Lopota RESORT

კახეთში ჩოგბურთის ტურნირის

ლოპოტას თასის

2014 ფინალი დასრულდა

ლოპოტას თასი 2014-ის ფინალში ქალ და ვაჟ ჩოგბურთელთა დუელები გულშემატკივრების ემოციების ფონზე დასრულდა და გამარჯვებულები გამოვლინდნენ: ქალთა შორის წარმატება, კომპანია „სარაჯიშვილის" სახელით, სოფო ხერხეულიძემ, ხოლო მამაკაცებში, კომპანია „ისთერნ ფრომოუშენის" სახელით, გიორგი კერესელიძემ მოიპოვა.

ტურნირში I, II და III ადგილების მფლობელებს მედლები და სოლიდური ფულადი ჯილდოები, ხოლო სხვა მონაწილეებს სპონსორი

კომპანიების მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები გადაეცათ. ტურნირის საპრიზო ფონდმა 20 000 ლარი შეადგინა.

ჩოგბურთის ტურნირი 26 ოქტომბერს, „ლოპოტა რეზორტზე" წვეულებით და ჯაზ-ბენდის აკომპანიმენტით დაიხურა.

ღონისძიება, „საქართველოს მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაციისა" და სასტუმრო-კომპლექს „ლოპოტა რეზორტის" ორგანიზებით, წელს პირველად ჩატარდა და მასში მხოლოდ მოყვარული ჩოგბურთელები მონაწილეობდნენ. „ლოპოტას თასი 2014-ის" გენერალური სპონსორები კომპანია „სარაჯიშვილი" და „სილქნეტი" არიან.

აღსანიშნავია, რომ „ლოპოტას თასი 2015-ისთვის" მზადება უკვე დაწყებულია და მას შესაძლოა სტუმრის სტატუსით ნოვაკ ჯოკოვიჩიც დაესწროს.



თეგეტა მოტორსისა და ბრიჯსთოუნის მე-10 საიუბილეო ავტორბოლა

BRIDGESTONE BLACK SEA CUP

„თეგეტამოტორსისა“ და „ბრიჯსთოუნის“ მე-10 საიუბილეო ავტორბოლა Bridgestone Black Sea Cup წელს ისევ ბათუმში გაიმართა. 12 საათიანი დაძაბული და ექსტრემალური რბოლის გამარჯვებული დათა ქაჯაია გახდა, მეორე ადგილი ოთო თავართქილაძემ დაიკავა, ხოლო მესამე ადგილი – ვანო მძელურმა. გამორჩეულ, სანახაობრივად საინტერესო, ხანგრძლივ შეჯიბრში 70-მდე ავტომბროლელი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ ქალბატონებიც. აღსანიშნავია,

რომ Bridgestone Black Sea Cup 2014-ის გამარჯვებული ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ავტომრბოლელია! (დათა ქაჯაია ევროპის მოქმედი ჩემპიონია, შეჯიბრზე ის წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდ MIA Force-ს).

სპეციალურად ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოვიდნენ „ბრიჯსტოუნ კორპორეიშენის" და „მიცუბიში კორპორეიშენის" წარმომადგენლები იაპონიიდან, ასევე დელეგაცია კომპანია Motul-იდან. შეჯიბრს ესწრებოდნენ „თეგეტა მოტორსის" ტოპ მენეჯმენტის წარმომადგენლები.

ღონისძიება გაიმართა ბათუმის მერიის პატრონაჟით.

5. თვის ტური
დაუვიწყარი შემოდგომა
კარლოვი-ვარში, ჩეხეთი

4. თვის პერსონა
რენე ზელვეგერის
რადიკალური ცვლილება

3. თვის ნივთი
სახის გამწმენდი ჯაგრისი –
CLINIQUE Sonic System

2. თვის ტექნოლოგიური
მოლოდინი
სასარგებლო გაჯეტი –
MOULINEX ZU5008
Centrifuga Infiny Press
Revolution;

1. თვის კერძი
ინდაური გოგრასთან ერთად

ინტერვიუ
INTERVIEW

10. MUST HAVE
შლაპა JUICY COUTURE

9. თვის აქსესუარი
კლატჩი KOTUR

8. თვის სამკაული
ბეჭედი ბრილიანტებით
Camélia Gansé by CHANEL
(*18K white gold, diamonds and black spinels*)

7. BEAUTY მოლოდინი
ტუჩსაცხი I'm by Pupa

6. თვის კოსმეტიკა
ახალი ბალზამი
მშრალი კანისთვის
LA ROCHE-POSAY
Lipikar Baume AP

m² თამარაშვილზე

ბარდება
2016 წლის
სექტემბერში

ენერგოეფექტური სახლი

მიმდინარე
ენერგოეფექტური
პროექტები

m² ნუცუბიძეზე

ბარდება
2015 წლის
ნოემბერში

კომპლექსის მოვლის მომსახურება:

- 24 - საათიანი დაცვის სამსახური;
- სადარბაზოების, ლიფტებისა და ეზოების დასუფთავება;
- გამწვანების მოვლა.

m² ყაზბეგზე

ბარდება
2016 წლის
თებერვალში

სრულად გარემონტებულ ბინაში თქვენ დაგხვდებათ **იტალიური წარმოების სამზარეულო ჩაშენებული გამწოვითა და გაზქურით!**

იცხოვრე უკეთესად

www.m2.ge 2 444 111

Flit Advertising | Flit Media | Flit Production

სარეკლამო-საკომუნიკაციო ჯგუფი

flit Flit Group

გრაფიკული და საკომუნიკაციო დიზაინი | ოფსეტური, ციფრული და ფართოფორმატიანი ბეჭდვა | სარეკლამო კონსტრუქციების წარმოება და მონტაჟი

მედია დაგეგმარება | ღონისძიებების ორგანიზება

flit.ge

საქართველოს საკომუნიკაციო სააგენტოების ასოციაციის წევრი